
პიონერი
1
იანვარი
1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიჭებო, თოვლი მოსულა!



ბიჭებო, თოვლი მოსულა,
მზის შუქზე გააქვს ციალი.
გიყვარდეს, კოხტა გორაზე
თხილამურებით სრიალი!

შენი ჭირიმე, ითოვე,
ფიფქებო, ჩვენთან დაეშვით,
მერე გაჩვენებთ, ზამთარო,
თუ როგორ ვიფრენთ ჰაერში!

ბიჭებო, თოვლი მოსულა,
ნეტავ შინ რაღას ჩერდებით,
სულ თეთრად გადაკენტილა
ჩვენი ლამაზი ქედები.

გახედეთ, თეთრი ნაძვნარი
ჩვენს შესახვედრად მზად არის,
რა კარგი სანახავია
მტრედივით თეთრი ზამთარი!

ჰე, ყმაწვილებო, მზის შუქზე
ფანტელებს გააქვს ციალი,
რაღას უდგეხართ, გამოდით,
ერთად დავიწყოთ სრიალი!

ქ. გოგიაშვილი



ნახ. ჯ. ლოლუასი

# ფიფქები

თოვს უხმაუროდ,
თოვს გარინდებით,
თოვს განუწყვეტლივ
და გამეტებით.
თოვლმა დაჰფარა
მაღალი მთები,
ორღობეები
და კრამიტები.

თოვს...
გადაღებას
აღარ აპირებს,
ფიფქები ჰგვანან
ჭკვიან თოლიებს.
ეს—ახლად მოდის
თეთრი აპრილი,
თუ ჩვეულებრივ
ზამთრის თოვლია...

იქნებ ეს თოვლი
ბებრებს აწბილებთ,
აპრილის მოსვლა
ჰგონიათ იქნებ;
მაგრამ შეხედეთ
ერთი ყმაწვილებს,
შეხედეთ ერთი,
დაზვინულ ციგებს!

შეხეთ, გუნდები,
თოვლის გუნდები!
აგერ იქ, ბიჭებს
ცხარე ომი აქვთ!
თოვს გარინდებით,
თოვს გამუდმებით,
აუჰ,
რა თეთრზე-თეთრი
თოვლია!

ცეროდენები
თოვლში დარბიან,
ყველა თოვლივით
არის გულწმინდა.
ალბათ, ერთ-ერთი
არის «ნაზია»,
მეორე, ალბათ,
არის «ყურცქვიტა».

თოვს...
გადაღებას
აღარ აპირებს,
ფიფქები ჰგვანან
ჭკვიან თოლიებს,
ეს—ახლად მოდის
თეთრი აპრილი,
თუ ჩვეულებრივ,
ზამთრის თოვლია!

თ. შათირიშვილი

140/1963
9071



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVII
წელი

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვირაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ქორქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე.

# პიონერი

**1** იანვარი 1963

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ქ. გოგიაშვილი—ბიჭებო, თოვლი მოსულა (ლექსი) გარეკ. 2
თ. შათირიშვილი—ფიფქები (ლექსი) . . . გარეკ. . . 2
პ. ჯონჯუა—სამელნე (მოთხრობა) . . . . . . . . 2
გ. ბახტაძე—გაიდარელები (ნარკვევი) . . . . . . 4
რ. ქორქია—ორდენი (მოთხრობა) . . . . . . . . 6
ქ. კობერიძე—ბიჭები ბიწკინაშვილები (ნარკვევი) 9
გ. ლაზაძე—თამაში (მოთხრობა) . . . . . . . . . 12
ჩ ვ ე ნ ი ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი 14
რ. ირემაშვილი—საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . . 15
პ ი ო ნ ე რ ი ს კ ლ უ ბ ი . . . . . . . . . . . . . 16
მ. ვალბოლსკი—ჭადრაკი და მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები (წერილი) . . . . . . . . . 18
გ. ჩოხელი—„ყოვლისმცოდნე" გულშემატკივრები 18
ა. კაცაძე—„ნაკადული" გვთავაზობს (წერილი) . 20
ანრი გელმაირი—კურდღელი ყვავის ბუდეში—(ზღაპარი, გერმანულიდან თარგმნეს ც. კოკილაშვილმა და ნ. მოსიაშვილმა). . 22
რ ა ტ ო მ ვ ა მ ბ ო ბ თ ა ს ე ? . . . . . . . . . . 23
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო თ ე მ ა ზ ე . . . . . . . . . . 23
ს ა ხ ა ლ ი ს ო . . . . . . . . . . . . . . . 24
ზ. ლეშკაშელი—ისტორია, რომელიც ყოველდღე მეორდება (ფელეტონი) . . . . . . . . . . 26
ა. ნემსაძე—„მზის შვილი" (წერილი) . . . . . . 26
ბ. ციფეროვი—პატარა მოთხრობები (თარგმნა ა. ჯ ა ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა) . . . . . . . . . . 28
გ. ჯოჯუა—ფოტომოყვარულთა დასახმარებლად 28
თ. გიორგაძე—მანქანა თამაშობს ჭადრაკს . . . 29
გ. სიდამონიძე—საიდან წარმოსდგა ეს სახელწოდებები . . . . . . . . . . . . . . . . . 30
მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე . . . . . . . . . 31
თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ დ რ ო ს . . . . . . . . . . . 32

გარეკანზე—„ზამთარი", ნახატი ლ. შენგელიასი; გარეკანის მესამე გვერდზე—იუმორი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ჯ. ლოლუას, გ. თოთიბაძის, კ. მახარაძის, რ. ცუცქირიძის, ედ. ამბოკაძის, გ. ფოცხიშვილისა და თ. სამსონაძის მიერ.



# საუნჯე

(მოთხრობა)

ნახ. გ. თოთიბაძისა

ჭ. ჯონუა

მთელი ქალაქი ვერცხლისფერ შუქშია გახვეული. თვალისმომჭრელად კაშკაშებენ მაღალი, უზარმაზარი სასახლეები. ქუჩებში გამალებით მიმოქრიან მანქანები. ხალხით გაჭედილია ტროტუარები, პარკები, მეტრო. ქალი, კაცი თუ ბავშვი — ყველა სადღაც მიიჩქარის. მზის სხივებით სახეგაბრწყინებული ადამიანები ხალისიანად მიეშურებიან თავიანთ სამუშაოზე და მათი მხნე ნაბიჯები დედაქალაქის, -- მოსკოვის გულისცემასთანაა შეწყობილი.

ხალხის შუაგულში მიიჩქარის საშაც. თურაშაულივით ულაჟღაჟებს ლოყები ბიჭუნას, სახეზე თბილი ნიავი ელამუნება და წითელ ყელსახვევს უფრიალებს. თვალებში ღიმილი უკრთის, ხოლო სველი ბაგეები ოდნავ ცახცახებენ. ბიჭუნა საკუთარი ფიქრებითაა გართული: რა თქვას, როგორ მოიქცეს, როცა ადგილზე მივა? ო, როგორ უნდა გაიქცეს მთელი ძალით, სწორედ ისე, როგორც ტოლებთან ბურთაობის დროს! მაგრამ ხალხის ნაკადი არ აძლევს ამის საშუალებას და საშაც ხან ერთს ეჯახება, ხან მეორეს, არც კი ახსოვს რამდენს მოუხადა ბოდიში...

მიდის საშა, თავდახრილი, თითქოს მზის სხივებს არიდებსო თვალებს. თეთრ ქაღალდში შეხვეული რაღაც ნივთი მაგრად მიუკრავს მკერდთან და წამდაუწუმ დახედავს ხოლმე. რარიგ უნდოდა ეს ნივთი შინ ჰქონოდა, საკუთარ სახლში, რათა ამაყად ეჩვენებინა იგი მისული ამხანაგებისათვის.

* * *

„აბა, ვის ეღირსება ასეთი დიდი საჩუქარი? — ფიქრობდა თავის გულში საშა. — მე ამას ისე შევინახავ, რომ არც ერთ სულიერს არ შევახებინებ ხელს!“ — მიუჯდებოდა მაგიდას, რომელზედაც იდგა ის ნივთი და დაჟინებული უყურებდა მას.

— წაიღე, საშა, მუზეუმში ეგ, შეიძლება აქ, შენთან, რაიმე მოუვიდეს, — ურჩევდნენ ზოგიერთები.

— რაო, წავიღო? განა ვინმეს დავუთმობ ასეთ ძვირფას საჩუქარს? — კვირობდა საშა და ნაძალადევად იცინოდა, — ამის იმედი ნუ გექნებათ. ეს მარტო ჩემია, ჩემი!

— ჩვენ წინააღმდეგი როდი ვართ, რომ შენთან იყოს, მაგრამ აბა დაფიქრდი, საშა. ეგ რომ სულ შენთან დარჩეს, მისი შეხედვა მხოლოდ შენ ერთს შეგეძლება. არა სჯობია, მიიტანო ისეთ ადგილას, სადაც ყველა ნახავს მას, მაგალითად მუზეუმში... ჰოდა, წაიღე ლენინის მუზეუმში...

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მოსვენება დაუკარგეს საშას. იგი დიდხანს ყოყმანობდა. იმ ღამეს ცუდად ეძინა, სულ ფიქრობდა, მაგრამ დილით მტკიცედ გადაწყვიტა მოქცეულიყო ისე, როგორც უფროსები ურჩევდნენ. სცხვენოდა კიდეც გუშინდელი ჯიუტობის გამო, რომ იძახდა ეს ნივთი ჩემია და არავის მივცემო. გახსენებაც არ უნდოდა ამ ამბისა.

და აი, ფრთხილად მიაქვს საშას თავისი საჩუქარი. აგერ, აკაშკაშებული მუზეუმიც გამოჩნდა. მაგრამ სანამ იქამდე მივა, კიდევ ერთი ქუჩა უნდა გადაჭრას. გადასასვლელთან რომ მივიდა, ძალაუნებურად შეჩერდა: მანქანების უწყვეტმა ნაკადმა გადაუღობა გზა. აწრიალდა საშა, არ შეუძლია ერთ ადგილას დგომა, ახლა ერთი წუთი ბევრს ნიშნავს მისთვის, ეჩქარება მუზეუმამდე მისვლა.

ჩაიქროლეს მსუბუქმა მანქანებმა, უკანა მანქანები კი უეცრად გაქვავდნენ გადასასვლელთან, რომელსაც მყისვე მოაწყდა ხალხის ტალღა. საშა ფრთხილად გაძვრა გამვლელთა შორის და პირველი გავიდა ქუჩის მეორე მხარეს. გული აჩქარებით უცემდა. მოუმატა ნაბიჯს და სირბილით აჰყვა მუზეუმის კიბეს. უეცრად, ზედ შუა კიბეზე ფეხი წაჰკრა საფეხურის ძგიდეს, წაიბორძიკა და



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიდან გაუვარდა თეთრ ქაღალდში გახვეული. იგი მყისვე ნამსხვრევებად იქცა...

თვალთ დაუბნელდა საშას, სული შეუგუბდა წუთით თითქოს გულიც გაუჩერდა. მერე ჩაჯდა იქვე და სასოწარკვეთილს ცრემლებმა დაუსველეს ლოყები.



— აა, ივანე დიმიტრის ძევ...

რიაბინი წყნარად იდგა. ლენინი ადგა და ხელი ჩამოართვა.

— დაჯექი, დაჯექი!

— გმადლობ, ვლადიმერ ილიას ძევ.

— დაჯექი, დაჯექი!

— არ მინდა შეგაწყვეტინო მუშაობა. მე სხვა სამუშაოზე გადავყავართ, ვლადიმერ ილიას ძევ. წასვლა კი არ შემეძლო შენთან გამოუმშვიდობებლად.

— სხვა სამუშაოზე გადაჰყავხართ... ჩანს, ქარხანაში სამუშაოდ მიდიხარ, ჰა?

— დიახ. ასეა, ვლადიმერ ილიას ძევ.

ლენინმა ცერი გაუყარა თავის ჟილეტს, ხოლო მეორე ხელით მუხლს დაეყრდნო, ოდნავ წინ გადაიხარა და მიაცქერდა მოსაუბრეს.

— რა გისახსოვრო, ძვირფასო ივანე დიმიტრის ძევ. ამჟამად, თვით ხედავ, არაფერი არ მაქვს თან.

უეცრად ლენინის მზერა მის წინ მდგარ სამელნეზე შეჩერდა.

— აი, სამელნეს გისახსოვრებ. მოოქროვილია.

რიაბინს ძალზე გაეხარდა.

ლენინმა გაიღიმა:

— დაიცა, დაიცა, ივანე დიმიტრის ძევ, შენ მგონი სწევ...

რიაბინი უხერხულად დუმდა.

— ჰო, დიახ, შენ სწევ. აი, საფერფლე! გქონდეს ჩემგან სახსოვრად, — და ლენინმა გაუწოდა საფერფლე რიაბინს.

— გმადლობ, ვლადიმერ ილიას ძევ, დიდად გმადლობ. — რიაბინმა არ იცოდა როგორ გადაეხადა მადლობა ლენინისათვის. „დიდი ბელადი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საქმეებითაა მუდამ დაკავებული, ამდენ ხანს მესაუბრა, თავი გამიყადრა, გულწრფელად მელაპარაკა“, — გაიფიქრა რიაბინმა და სიხარულისაგან თვალზე ცრემლი მოადგა. ვერ შესძლო იმის გამოხატვა, რისი თქმაც უნდოდა, მოტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა.

ლენინი ადგა და რიაბინი კარებამდე მიაცილა, მერე მხარზე დაადო ხელი. თან ალერსიანი თვალები შეავლო.

— ჩვენმა რევოლუციამ გაიმარჯვა, ივანე დიმიტრის ძევ. დღეს ჩვენი საქმეების წარმართვა თვითვე შეგვიძლია. ახლა ჩვენი ამოცანაა — ავამაღლოთ მეურნეობა, უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ შეგვეძლოს დავაკმაყოფილოთ ხალხის ყველა მოთხოვნილება. — თქვა ლენინმა, ყოველივე სიკეთე უსურვა რიაბინს და კვლავ თავის მაგიდას დაუბრუნდა.

ივანე დიმიტრის ძე რიაბინი საშას პაპა იყო. იმ დღიდან ბევრი წელი გავიდა. საშას პაპა გარდაიცვალა. ლენინის ნაჩუქარი ნივთები ომის პერიოდში ნათესავებმა წაიღ-წამოიღეს. მაგრამ საშას ბებიამ ამ ცოტა ხნის წინათ სამელნე მაინც მონახა.

— ეს სამელნე ვლადიმერ ილიას ძის ნაჩუქარია, თავისი ხელით მიართვა პაპაშენს, — უთხრა ბებიამ საშას და გადასცა. — გაუფრთხილდი, ძვირფასო, შეინახე... არ შეიძლება საფერფლეც არ იყოს სადმე. მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით არსად ჩანს.

საშას გონებაში ყოველივე ამან გაიელვა, გაახსენდა ბებიის ნაამბობი. აკრიფა სამელნის ნამსხვრევები, შეახვია ქაღალდში და დიდხანს დაჰყურებდა ცრემლიანი თვალებით.

სამურად აცხუნებდა მზე მოკრიალებულ ლაჟვარდიდან. ეს კიდევ უფრო ამხიარულებდა საშას. ლენინის ცენტრალურ მუზეუმიდან დაეშვა და ქალაქს გახედა.

ახლა მას ფრთების გარეშე შეუძლია ფრენა, თავაწეული შორს იცქირება იგი.

— ხვალ დილით, სკოლაში რომ მივალ, ყველაფერს ვუამბობ ამხანაგებს, რაც ვნახე და გავიგე. როგორ გაოცდებიან, ზღაპრად ჩათვლიან?! — თქვა თავისთვის საშამ. ფიქრებმა შეიპყრეს იგი.

რაოდენ ბედნიერი იყო საშა! არასოდეს დაბრუნებულა იგი შინ ასე აღფრთოვანებული. ეჩვენებოდა თითქოს ორჯერ უფრო დიდი გახდა. მუზეუმში მას თანამშრომლებმა ასე უთხრეს:

— ნუ დარდობ, საშა! ჩვენ შევაწებებთ ამ სამელნეს, გავამთელებთ, და ისეთივე იქნება, როგორიც იყო.

საშა კვლავ იჩქარის, მისი გული კვლავ სიხარულითაა სავსე: უფრო მოუმატა ნაბიჯს, როცა თავისი სახლისაკენ მიმავალ ქუჩას დაადგა; უნდა მალე მივიდეს შინ, ბებიის დახმარებით დაიაროს ყველა ნათესავი და ნაცნობი. გადაწყვიტა მონახოს საფერფლე, ვლადიმერ ილიას ძემ რომ აჩუქა პაპამისს.

აუცილებლად მონახავს საშა რიაბინი იმ საფერფლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომელი რაზმი გაიმარჯვებს? — ამით იწყება ყოველი საუბარი პიონერთა ოთახში.

# გაიდარელები

გაიდარი — მონღოლურად წინ მიმავალ მხედარს ნიშნავს. აი, ასეთი შესანიშნავი ფსევდონიმი აირჩია ბავშვების საყვარელმა მწერალმა და, მართლაც, სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადებით მუდამ ამართლებდა მას.

დღეს ცოცხალი აღარ არის დიდი მწერალი, მაგრამ ცოცხლობენ მისი შესანიშნავი წიგნები, რომლებიც ასწავლიან ნორჩ თაობას, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იშრომოს. არ არის გაიდარი, მაგრამ ცოცხლობენ მისი გმირები — თემურელები; მრავალი რაზმი და რაზმეული ატარებს მწერლის სახელს... მათ შორის არიან თბილისის 111-ე სკოლის ნორჩი ლენინელები, რომლებიც ახლა საუკეთესო რაზმის სახელის მოსაპოვებლად იბრძვიან.

## როცა ფოსტაში ბევრი წერილია..,

დღესასწაულის წინ თბილისში წერილების მთა აღიმართება ხოლმე საფოსტო განყოფილებაში. ყოველ მათგანს „ეჩქარება" —სურს ზეიმი მიულოცოს ნათესავს, მეგობარს, მახლობელს, ბევრია წერილი, ძალიან ბევრი, კიდევ მეტია დეპეშა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ რომელიმე მათგანს დააგვიანდება. არა!

აი, ფოსტის უფროსი ტელეფონის ყურმილს იღებს და დახმარების სათხოვნელად... სკოლაში რეკავს. არ გაგიკვირდეთ — ფოსტა ხომ პიონერული მოქმედების ზონაში მდებარეობს და აი, სულ მალე, ორი ან სამი ათეული პიონერი ეწვევა ფოსტას.

ამბობენ, ზღვა კოვზით დაილევაო, და აბა, რა დაუმაგრდება მთელ რაზმეულს! სწრაფად დაანაწილებენ წერილებსა და დეპეშებს უბნების მიხედვით და, ჰერი!.. ორი-სამი საათის შემდეგ ნორჩ ფოსტალიონებს სიხარული შეაქვთ ოჯახებში. ყველგან ღიმილით უღებენ მათ კარს. ისინი ხომ ძველი ნაცნობები არიან.

## საქმე ყველგან მოიძებნება

სასახელო პიონერული საქმეების მზვერავებმა რაზმეულის საბჭოში ცნობა მიიტანეს: ახალ სახლში, სკოლის მახლობლად, მშენებლობა დამთავრდა, მალე მობინადრეებს შეასახლებენო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პიონერებსაც უნდა ეთქვათ თავიანთი სიტყვა.

მართალია, მთელი შემოდგომა ეხმარებოდნენ მშენებლებს აგურის მიწოდებაში, ბეტონის ხსნარის შემზადებაში; მრავალი შაბათობაც მოაწყეს, მაგრამ ახლა უფრო მეტად შეეძლოთ თავის გამოჩენა; და აი, კვირა დილით პიონერები მშენებლობას ეწვივნენ. ხელში ჯაგრისები და ტილოები ეკავათ; ერთად, კოლექტიურად შეუდგნენ შენობის დასუფთავებას. რამდენიმე საათიც და, კამკამებდნენ მინები, ლაპლაპებდა იატაკი.

პიონერულ ზონაში აგებულ სახლში ერთი კვირით ადრე შესახლდნენ ახალმოსახლენი. მშენებლებთან ერთად ყველამ დალოცა გამრჯე პიონერების მარჯვენა. ისინი კი კვლავ ეზოში ტრიალებდნენ; ახლა ხეებს რგავდნენ და გაზონებს აშენებდნენ. აბა, მართლაცდა, რა გამოლევს საქმეს პიონერული მოქმედების ზონაში!

## ვის ელიან პატარები?

შაბათი დღე განსაკუთრებით უყვართ ლალის, დათოს, ეთერს, ავთოს და სხვა პატარებს. არა მარტო იმიტომ, რომ ამ დღეს მშობლები საბავშვო ბაღიდან ჩვეულებრივზე ადრე წაიყვანენ სახლში, არამედ იმიტომაც, რომ პიონერებს ელიან სტუმრად.

ისინი მაშინ დამეგობრდნენ, როცა ალისფერყელსახვევიანმა გოგო-ბიჭებმა სათამაშოები მოუტანეს საჩუქრად, ბაღშიც წაიყვანეს სასეირნოდ, შემდეგ კი თოჯინების თეატრის წარმოდგენა უჩვენეს. ეს შარშან იყო თუ შარშანწინ, არც კი ახსოვთ პატარებს, ოღონდ ეს იციან, რომ ძალიან უყვართ ციური, თემური, მედეა, გოგი და სხვა პიონერები. ყოველ მათ მოსვლას გართობა და თამაში, ახალი სიხარული მოჰყვება ხოლმე. ამიტომ მოელიან ასე მოუთმენლად.

მე-17 საბავშვო ბაღიც პიონერული მოქმედების ზონის რუკაზეა აღბეჭდილი. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ

სკოლის სახელოსნოში ხშირად ამზადებენ პატარების „შეკვეთებს“ — ყურცქვიტებს, გრძელცხვირა ჯამბაზებს, სათამაშო რგოლებს და სხვა გასართობებს. საახალწლოდ კი სკოლის სამკერვალო სახელოსნოში ნაძვის ხისათვის პატარების საკარნავალო ტანსაცმელს კერავდნენ. ასეა აქ ყოველთვის: პიონერები პატარების კარგი მეგობრები არიან!



ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

სწავლა კარგა ხნის დაწყებული იყო, ერთი მერხის მარცხენა მხარეს კი არავინ იჯდა. იმავე კლასში დარჩენილ ბიჭუნას ერცხვინებოდა სკოლაში მისვლა. თავის თავზე და ყველაზე განაწყენებული ჯიუტად ამბობდა: სკოლაში არ წავალ, არ ვისწავლიო...

შეწუხდნენ ახალი ამხანაგები — ასე არ ივარგებსო, და ერთ დღეს ახალ ამხანაგს სახლში ეწვივნენ. საყვედური არ უთქვამთ, მხოლოდ კლასის ახალი ამბები უამბეს, მოზარდ მაყურებელთა თეატრის აბონემენტი მიუტანეს. შემდეგ ისიც უთხრეს: სალაშქროდ ვემზადებით, ხვალ საწვრთნელი მეცადინეობა გვაქვს, არ დაგვიწყდეს, თან ზურგჩანთა წამოიღეო.

ეს იყო და ეს. თანაკლასელებს დაშორებული ბიჭუნა დიდხანს ფიქრობდა თუ როგორ მოქცეულიყო: ახალი ამხანაგების მეგობრულმა საუბარმა ყინული გაალხო და სიჯიუტეს სძლია. კვირა დღეს იგი ამხანაგებთან ერთად მიაბიჯებდა ქალაქგარეთ, ხოლო მეორე დღეს სკოლაში იყო.

ასე დაუბრუნა სკოლას ერთი პიონერი საყოველთაო სწავლების პიონერულმა საგუშაგომ. ეს საგუშაგო კი საკავშირო შეჯიბრებაში ჩაბმის დღეს შეიქმნა რაზმეულში.



სასკოლო [illegible] თავისებ[illegible] გნია — ბუნ[illegible] დი[illegible] წიგნი, [illegible] მრავალს ა[illegible] საინტერესო[illegible] ლობენ ნორ[illegible]

ოთხშიდში [illegible] ლი შეჯიბ[illegible] სპორტულ[illegible] ბავშვები [illegible] ვსე. მქუს[illegible] ეგებებიან [illegible] ლის ყოველ ახალ რეკორდს.

• • •

ჩვენ გაიდარელთა საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილი გიამბეთ. მაგრამ ვფიქრობთ, ამ მცირეშიც კარგად ჩანან ყოჩაღი, შრომისმოყვარე ბავშვები, რომლებიც ცდილობენ ცხოვრების წინა ხაზზე იყვნენ.

გურამ ბახტაძე

ფოტო დ. იაკობაშვილისა



შესანიშნავი ხელსაწყო — მიკროსკობი გაიცნეს წელს მეოთხეკლასელებმა. დიდი ინტერესით ჩასცქერიან მცენარის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



როდიონ ქორქია

# ორდენი

მოთხრობა

ნახ. კ. მახარაძისა



1

ბატალიონში ორდენი გამოგზავნეს: ყველაზე ღირსეულს მიანიჭეთო.

იმ ბობოქარსა და მღელვარე თვრამეტ წელს მებრძოლებს პირდაპირ ბრძოლის ხაზზე აჯილდოვებდნენ. აბა, სად იყო პრეზიდიუმი, მუსიკა, პლაკატები! დროც არ იყო, ვის ეცალა საზეიმო ცერემონიალისათვის. განსაკუთრებით თუ ნაწილი ბრძოლის ხაზზე იყო. მოიბანდნენ სისხლს, გაგზავნიდნენ დაჭრილებს ზურგში, სასწრაფოდ მოეწყობოდა მიტინგი და აჯილდოებდნენ ღირსეულთ. ძნელი კი იყო შეჩვეოდნენ ღირსეულთა შერჩევას. მეტადრე თავდაპირველად. ძნელი იმიტომ იყო, რომ იმ ბობოქარსა და მღელვარე დროს მებრძოლთა დიდი ნაწილი თავისი ნებით იბრძოდა ფრონტზე და თავის საქმეს აკეთებდა. მემამულის გაძევება და მიწის ჩამორთმევა მისი პირადი საქმე იყო; კაპიტალისტის გაგდება და ქარხნის განსაზოგადოება მისი პირადი საქმე იყო; უცხოეთიდან შემოსეული ინტერვენტების, ყველა ამ ამერიკელებისა და ინგლისელების, გერმანელებისა და ფრანგების, თეთრი ჩეხებისა და იაპონელების გარეკვა თავისი ქვეყნიდან — მისი პირადი საქმე იყო და აბა, ვის მოუვიდოდა აზრად თავისი საქმის გაკეთებისათვის ჯილდო მიეღო? შენ რომ შენი ეზოდან ნაგავი გაიტანო, ჯილდო უნდა მიიღო? ჰაი, ჰაი, რა უცნაურობაა!

ასე ფიქრობდა ბატალიონის მეთაური და ამიტომ ჩავარდა საგონებელში. მაგრამ ბრძანება ბრძანება იყო და უნდა შეესრულებინა. ათას ქარცეცხლში გამოვლილმა არალეგალურმა მუშაკმა იცოდა დისციპლინის ძალა და ფასი. დაწესდა ორდენი, მაშასადამე საჭიროა მისი პატივისცემა, მისი გამოყენება, მისი ავტორიტეტის დაცვა.

„ამას კი მოევლება, მაგრამ ვის მივცე ორდენი? — შეეკითხა თავის თავს მეთაური, — პირველი შემთხვევა მაინც არ იყოს“...

მართლაც, ძნელი კი იყო ღირსეულის შერჩევა. ბატალიონს „უშიშართა“ სახელი ჰქონდა შერქმეული პოლკში. შორს იყო გავარდნილი ბატალიონის სახელი. მთელ დივიზიაში ლოზუნგად ჰქონდათ მიღებული: „სწორება უშიშართა ბატალიონისაკენ!“.. ჰოდა, რომელ „უშიშარს“ მიანიჭოს ორდენი? მართალია, მდგომარეობა აძლევდა უფლებას პირადი შეხედულებით გადაეჭრა ეს საკითხი, მაგრამ მეთაური მაინც ყოყმანობდა. კოლექტიურობა და ამხანაგური გრძნობა ისე მტკიცედ იყო გამჯდარი მებრძოლთა ძვალ-რბილში, რომ ერთპიროვნულად ასეთ მნიშვნელოვან საკითხს მეთაური ვერ გადაწყვეტდა. ბატალიონის კომისარსაც ხომ უნდა დაკითხებოდა? ასე იყო თუ ისე, თავის სინდისზე ვერ შეაგდო მეთაურმა ამ საკითხის გადაწყვეტა და ბევრი ფიქრის შემდეგ თქვა:

— დაე, თვითონ მებრძოლებმა გადაწყვიტონ.

2

— მოეწყვეთ! — გასცა განკარგულება ბატალიონის მეთაურმა. ბატალიონი მოეწყო.

„ღმერთო ჩემო! — კაიფიქრა მეთაურმა. — უკანასკნელ ბრძოლაში ისევ განახევრდა ბატალიონი! ერთ ასეულამდე ჩამოვედით... ყველა დაჭრილია, ყველა შეხვეული. მოდი და შეარჩიე ღირსეული!.. კარგად მოვისაზრე, ნამდვილად კარგად მოვისაზრე, თვითონ მაგათ გადავაწყვეტინებ ორდენის საკითხს. მე შეიძლება შევმცდარიყავი კიდეც“...

უშიშართა ბატალიონი გარინდული იდგა. მარჯვენა ფლანგზე წვერებიან მებრძოლს დროშა ეჭირა. ტყვიით დაცხრილული, ფოჩიანი დროშა ამაყად იდგა ბატალიონის თავში. უშიშართა მრისხანე რიგების ბოლოს ჩამკეტად იდგნენ მოწყალების და და თორმეტი წლის მეკავშირე ბიჭუნა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მეთაურმა. — პოლკის შტაბიდან მოვიდა ორდენი და ბრძანება: ორდენი მიენიჭოს ყველაზე ღირსეულს, ყველაზე მამაცსა და რევოლუციისათვის თავდადებულს. აი, ეს ბრძანებაც!

მეთაურმა ბრძანება აჩვენა ბატალიონს.

ფერად ქაღალდს უხალისოდ შეხედეს.

— აი, ეს ორდენიც, წითელი დროშის ორდენი! — და ორდენი აბრჭყვიალდა მზეზე. მებრძოლებმა კისრები წაიგრძელეს, პირველად ხედავდნენ ორდენს.

— თავისუფლად! — გასცა განკარგულება მეთაურმა და ჩამოუარა რიგებს, ყველას აჩვენა ორდენი. თითქოს დიდი ხნის ნაცნობი იყო ეს ორდენი: წითელი დროშა, ერთიმეორეზე გადაჭდობილი ჩაქუჩი და ნამგალი, წარწერაც „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ დიახ! ახალი თითქოს არაფერია და მაინც არის ახალი: ვისაც ეს ორდენი ექნება მკერდზე, ის გამოერჩევა დანარჩენებს...

მეთაური ბატალიონის წინ შეჩერდა და მებრძოლებს შეეკითხა:

— მითხარით, ვის მივანიჭოთ ორდენი?

დუმილი. მხოლოდ ერთმანეთს გადახედეს მებრძოლებმა. შემოდგომის მზე ლაპლაპებდა ხიშტებზე, ნელი ქარი არხევდა მოუმკელ ყანას და უძრავად იდგნენ ყუმბარებისაგან ტოტებდალეწილი ხეები.

— თქვით-მეთქი! — აუწია ხმას მეთაურმა. — აი,



შენ, ამხანაგო ანტონ! შენ დაიწყე! ყველაზე უხუცესი ხარ. მედროშეც შენა ხარ! დაიწყე!

ანტონმა თავი აილო. მარცხენა ხელი წვერზე ჩამოისვა. შეხვეული თავი გააქნია, ჩაახველა და დაიწყო:

— მე რა უნდა ვთქვა? ყველამ ვიცით, რომ ბატალიონში ბევრია მამაცი! აი, მაგალითად, ჩემს გვერდით მდგომი ამხანაგი, პეტრე-მაღაროელი. დონეცკის მაღაროში ამფეთქებელი იყო. აქაც გამოიყენა თავისი ხელობა. ხომ გახსოვთ, რას წერდნენ თეთრების გაზეთები ამ ერთი თვის წინათ? ამერიკის ბურჟუაზიამ იმდენი იარაღი გამოგზავნა, — წითლებს ბდღვირს ვადენთო. ჰოდა, ამერიკული ტყვიამფრქვევებით დატვირთული ერთი ეშელონი სწორედ ჩვენსკენ გამოემართა. ჩვენი პოლკის ახლოს უნდა გაევლო, რომ თეთრებთან მისულიყო. ის ეშელონი რომ თეთრებთან მისულიყო. ჩვენს პოლკს დიდი ზიანი მოუვიდოდა. გახსოვთ. ჩვენმა ბატალიონმა მიიღო დავალება ხელში ჩაგვეგდო ის ეშელონი? ჰოდა. ყველამ იცით, რა ჰქნა პეტრე-მაღაროელმა. დანაღმა ხიდი, ააფეთქა და ტყვიამფრქვევების მთელი ეშელონი ჩვენ დაგვრჩა. არის ეს გმირობა? არის! ღირსია პეტრე-მაღაროელი ორდენისა? ღირსია! მე ხმას ვაძლევ ამხანაგ პეტრეს.

— მართალია! სწორია! — მოისმა რიგებში.

— ახლა მეც მალაპარაკეთ, — და სიტყვა აიღო თვითონ პეტრე-მაღაროელმა.

პეტრე იყო ჯმუხი, გაუპარსავი, შუახნის მუშა. დინჯად, დამაჯერებლად დაიწყო:

— რაც ჩემზე ამხანაგმა ანტონმა თქვა, აბა, ეს რა გმირობაა? რამდენი ქანი მე ამიფეთქებია მიწის ქვეშ. მაგას ვინ მოთვლის! მერე და. ვისთვის ვაფეთქებდი? კაპიტალისტებისათვის! აქ კი ჩემს საქმეს ვაკეთებდი. აბა, ეს რა გმირობაა?.. გმირობა თუ გინდათ, მე მოგახსენებთ; ვინაა, ამხანაგებო, ომის წამყვანი და ვის ჰკუაზეა დამოკიდებული ომის ბედი! არა მარტო მთელი ომის. არამედ ცალკეული ბრძოლისაც! შტაბის ჰკუაზე, ამხანაგებო! მე მონაწილე ვარ იმპერიალისტური ომისა. მესანგრე ვიყავი. ცოტა არ იყოს, ნაკითხი კაციცა ვარ და ვერკვევი ასეთ საკითხებში. რატომ წააგო ომი მეფის რუსეთმა? იმიტომ, რომ უნიჭო შტაბი ჰყავდა. რატომ დაგვამარცხეს მაშინ? იმიტომ, რომ მტერს ჭკვიანი შტაბი ჰყავდა. რაც მართალია — მართალია! ეს ფაქტია! ამას იმიტომ გეუბნებით, რომ შტაბია ომში თავი და თავი. ახლა საქმე შემდეგშია: ამხანაგმა ანტონმა, ამ ორი თვის წინათ, აილო ყუმბარები, ღამით მიცოცდა მტრის შტაბთან და შეაგდო შიგ. მოსპო შტაბი, მოწყვიტა დივიზიას თავი. მერე ის იყო, დავერიეთ იმ დივიზიას და პოლკამდე ჩამოვიყვანეთ... ასეთი გმირობისათვის ძველ არმიაში უმაღლეს ჯილდოს აძლევდნენ: გიორგის ჯვარს... ამიტომ, ვფიქრობ, მე კი არა, ამხანაგი ანტონია ჯილდოს ღირსი. ხმას ვაძლევ ამხანაგ ანტონს.

— ესეც მართალია, მართალი! — დაიგუგუნა ბატალიონმა.

— კიდევ ვის სურს სიტყვა? მგონი შენ, ამხანაგო მოსკალენკო!

— დიახ, მსურს! — წამოიძახა მოსკალენკომ. — თუ აქ გმირობაზეა ლაპარაკი, განა შეიძლება არ ვილაპარაკოთ ამხანაგ ზუბარევზე?! თუ დაგავიწყდათ, გაგახსენებთ. არ გახსოვთ, მდინარის მოსახვევთან მტერმა რომ მთელი კვირით შეგვაჩერა? ისეთ მოხერხებულ ადგილას ჩაასაფრა ბატარეა, რომ ერთი ნაბიჯი არ გადაგვადგმევინა წინ. დანაკლისიც დიდი ვნახეთ. მაშინ იყო რომ ამხანაგმა ზუბარევმა გასწირა თავი. დაიკერა თეთრების პაგონები და ღამით გასცურა მდინარე. ჩვენ და თეთრებს ხომ ერთნაირი კომანდა გვაქვს? ზუბარევი ხომ

არტილერისტია? ჰოდა, პირდაპირ უტიფრად მოიქცა: მივიდა რომელიღაც ოფიცერთან და უპატაკა: გენერალმა ბრძანა, არტილერია გადაადგილეთ, შეტევაზე გადავდივართო. მოახსნევინა ბატარეა და გაიგო, სადაც დააყენეს ის ბატარეა. ოფიცერმა ეჭვი აიღო და დაპატიმრება დაუპირა ზუბარევს. ხელჩართულ ბრძოლაში ზუბარევმა მოჰკლა ოფიცერი. თვითონ ზუბარევიც დაჭრეს. ხელი ახლაც მოტეხილი აქვს. მე არ ვიცი. რა განგების ძალით გამოსცურა უკან მდინარე, მაგრამ ფაქტია, რომ მოაღწია ჩვენამდე და მიგვანიშნა ბატარეა. მერე თქვენც იცით: გადავლახეთ მდინარე, ხელთ ვიგდეთ ბატარეა და დაიხია მტერმა... რასაკვირველია, ამხანაგი ანტონი და ამხანაგი პეტრე-მაღაროელი ღირსნი არიან ორდენისა, მაგრამ რას ვერჩით ზუბარევს? მთელი ბატარეა გვაშოვნინა ამხანაგმა. მე რომ მკითხოთ, ზუბარევიცაა ორდენის ღირსი. ასე რომ, მე ხმას ვაძლევ სამივეს.

— ამხანაგო, ორდენი ერთია! — უპასუხა მეთაურმა. — შენ კი სამი კანდიდატი გყავს.

— რა ვქნა, მე ასე ვფიქრობ, — მიუგო მოსკალენკომ. — ჩემზე უკეთესად თუ ვინმე ფიქრობს, მე იმას დავეთანხმები.

— თვითონ ამხანაგი ზუბარევი რას ფიქრობს? — იკითხა მეთაურმა.

— რა უნდა ვიფიქრო? — გაიცინა ზუბარევმა. — ძალიან კი გააზვიადეთ ჩემი რაღაც გმირობა. მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს მე ორდენის ღირსი ვარ უტიფრობისა და ეშმაკობისათვის.

რიგებში სიცილმა ჩამოირბინა.

— მე კი ვფიქრობ, — ჩემზე ღირსეული ბევრია აქ, — განაგრძო ზუბარევმა. — მე რა შესადარი ვარ მათთან. თუ ორდენი ყველაზე ღირსეულს ეკუთვნის, მე მოგახსენებთ, ვინაა ღირსეული, და თქვენ ყველანი დამეთანხმებით. არ იქნება არავინ წინააღმდეგი, პირიქით, ყველა იამაყებს, რომ ორდენი სწორედ იმას შეხვდა, ვისაც უნდა შეხვედროდა. აბა, თვითონ თქვით, ვინაა ასეთი?

ყველამ ერთმანეთს გადახედა. ნდობით, სიყვარულით, პატივისცემით გადახედეს ერთმანეთს: შენა ხარ ღირსი და არა მეო.

„ნეტავი შემეძლოს ეს ორდენი ას ნაწილად გავყო! — გაიფიქრა მეთაურმა. — ესენი ხომ ყველა ერთ ქურაშია გამოვლილი. ერთმანეთის გულისათვის თავს დადებენ, სიკვდილს არ დაერიდებიან. რა შვილები ჰყავს საბჭოთა ხელისუფლებას!...

— შენ თვითონ დაასახელე! —მიაყარეს აქეთ-იქედან ზუბარევს.

— დავასახელებ კიდეც! — უპასუხა ზუბარევმა.

— აბა! აბა!



— მოკლეთ ვიტყვი, — დაიწყო ზუბარევმა. — მამაკაცმა რომ ვაჟკაცობა გამოიჩინოს, არაა გასაკვირი. მით უმეტეს, თუ რევოლუციას იცავ და ბრძოლის ხაზზე ხარ. მაგრამ ქალი რომ ამოგიდგეს გვერდით და შენთან ერთად გასწიოს ჭაპანი ომის სიძნელეებისა, მაშინ რას იტყვით? ხოლო თუ ეს ქალი სულაც არაა ვალდებული იყოს ფრონტზე, არამედ იყოს სკოლაში და ასწავლოს ბიჭუნებს, მაშინ რას იტყვით?.. ახლა ისიცა ვთქვათ, ამ სასტიკ ბრძოლებში 27 დაჭრილი მებრძოლი ტყვიის ზუზუნში ვინ გამოათრია ბრძოლის ველიდან? ვინ შეუხვია იმათ და გაგზავნა ზურგში? ვინ გადაგვირჩინა აუცილებელ სიკვდილს ის 27 ამხანაგი? სროლის დროს ჩვენ სახელდახელო სანგარში ვწევართ, ის ამხანაგი კი ხან ფორთხვით, ხან წელში გამართული დადის ცეცხლის ხაზზე და ჭრილობებს უხვევს მებრძოლებს, გამოხსნის ჩვენს ძვირფას ამხანაგებს სიკვდილის ბრჭყალებიდან და აგზავნის სიცოცხლისაკენ. ამ ზაფხულსა და შემოდგომაზე ხუთჯერაა დაჭრილი ის ამხანაგი და არც ერთხელ არ წასულა ზურგში. აქ, ტაჩანკაზე მოიშუშა ჭრილობა. ის განა მარტო მოწყალების დაა ბატალიონისა, ის ყოველი ჩვენგანის ღვიძლი დაა. მე ვფიქრობ, თუ ორდენი შეიძლება ქალს მიენიჭოს, ის უნდა მიენიჭოს ჩვენი ბატალიონის მოწყალების დას, ნინა პავლენკოს.

მებრძოლებს გაეხარდათ, რომ არჩევანი ქალზე მიდგა და ერთხმად გასძახეს:

—სწორია! მართალია! ორდენი მიენიჭოს ნინა პავლენკოს.

მაშინ ნინა პავლენკომ ასწია ხელი.

— გთხოვთ, მეც მალაპარაკოთ! ამხანაგო მეთაურო, ნება მომეცით წყობილების წინ დავდგე.

— დადექით!

წყობილებიდან გამოვიდა გრუზათმიანი, მკერდმაღალი ქალი. რაღაც უცნაურ ყვავილს გავდა ეს ქალი ამ ბეჭებგანიერ მუხნარში.

— ამხანაგებო, მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, — დაიწყო ნინამ. მე, რასაკვირველია, არა ვარ ორდენის ღირსი, თქვენ ნუ გაგიკვირდებათ და მე მყავს უფრო ღირსეული კანდიდატი.

და ნინამ მეთაურისკენ იბრუნა პირი.

— არავითარ შემთხვევაში! — თითქმის ბრძანების კილოთი წამოიძახა მეთაურმა. — ჩემზე ლაპარაკი ზედმეტია!

— არც მიფიქრია თქვენზე. — ეშმაკურად გაიღიმა ნინამ.

მეთაურმა გადაიხარხარა. სიცილი გადაედო რიგებს და გულიანად გაიცინეს ასჯერ დაჭრილებმა, ასჯერ შეხვეულებმა, ასჯერ სიკვდილს გადარჩენილებმა. ყველაზე მეტს იცინოდა თვითონ მეთაური.

— რასაკვირველია, — განაგრძო ნინამ, — ყველა ის აქტი, რომელიც აქ ჩამოთვალეს, გმირობის აქტია, გარდა ჩემისა. მაგრამ არის გმირობის სხვა სახეც. ესაა ხასიათის სიმტკიცე, ამტანობა, რომლის შედეგია კოლექტივის სიკეთე. მე მოგახსენებთ ჩვენს პატარა მეკავშირეზე, ჩვენს ტელეფონისტზე — გერასკაზე. ის ხომ თორმეტი წლისაა? მაგრამ რა ვაჟკაცობა ჩაიდინა!.. დავალებით მიდიოდა პოლკის შტაბში, რადგან ტელეფონის ხაზი გაწყდა. გზაში დაიჭირეს თეთრებმა, მოსთხოვეს შტაბის გაცემა. ბავშვმა არ გასცა. ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამოშანთეს მკერდზე, ბავშვმა გადაიტანა. ასე, მკერდსისხლიანი გამოუშვეს ჩვენსკენ ჩვენს შესაშინებლად... გერასკას რომ ჩვენი შტაბის ადგილსამყოფელი გაეცა, ვინ იცის იქნებოდა თუ არა დღეს ცოცხალი უშიშართა ბატალიონი! მტრის კავალერია ალყას შემოგვარტყამდა და ამოგვჟლეტდა. დღეს კი ცოცხალია ჩვენი ბატალიონი, იბრძვის საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მის მარცხენა ფლანგზე დგას ყველაზე ტანმორჩილი, მაგრამ სულით ბატალიონივით მტკიცე ეს პატარა ბიჭუნა... მე, როგორც დედა და მასწავლებელი, როგორც ამხანაგი და მებრძოლი, ხმას ვაძლევ გერასკას! მას მიენიჭოს ორდენი!

ნინა მივიდა გერასკასთან, აიტაცა და აკოცა.

ნინას წინადადებამ ყველა მოხიბლა და იმავე დროს ყველა დააღონა: მართლაც და, ბოლოს და ბოლოს ვის მიენიჭოს ორდენი? ეს გერასკაც ხომ ღირსია?

ბოლოს მებრძოლებმა თხოვეს მეთაურს:

— ამხანაგო მეთაურო, შენ თვითონ გადაწყვიტე ვის ხვდეს ორდენი. აი, ამ დროშას გაფიცებთ!

და მედროშე ანტონმა წითელი დროშა დასწია მეთაურის წინ.

მეთაურს სახე გაებადრა. ბედნიერმა აზრმა გაუელვა და წამოიძახა:

— დაჯილდოვდეს ორდენით მთელი ბატალიონი! აი, როგორ: ეს დროშა ჩვენი ბატალიონის სახეა, მისი რწმენის და ღირსების გამომხატველი. და რადგან ეს დროშა ყოველ ჩვენგანს წარმოადგენს, მივაჭედოთ ორდენი ამ დროშას.

— ვაშაა! — ერთსულოვნად დასცა ბატალიონმა. — სამართლიანი გადაწყვეტილებაა! გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

მედროშემ მაღლა, ძალიან მაღლა ასწია დროშა.

დროშაზე ბრწყინავდა ორდენი.

ირაკლი ბიჭკინაშვილი



ზაზა ბიჭკინაშვილი



გიორგი ბიჭკინაშვილი



# ბიჭკინაშვილები

### ასე დაიწყო არდადეგები

მასწავლებელი სასკოლო ჟურნალში ხელს აწერს, გამხიარულებულ ბავშვებს ღიმილით გადახედავს და სიის ამოუკითხავად იხურება ჟურნალი — არდადეგების უკანასკნელ დღეს გაკვეთილებზე დასწრება სამაგალითოა.

მერე? მერე შეკითხვები: ვინ სად მიდის საწარმოო პრაქტიკაზე, ვენახში თუ ხეხილის ბაღში, ცხვარში თუ ძროხაში?

კლასში ჟრიამული მატულობს. მასწავლებელს ეღიმება.

უმცროსკლასელები რომ საბანაკოდ ემზადებიან, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ზოგმა ჯიუტობა იცის, — გინდა თუ არა მთაში უნდა გავყვე ცხვარს, მე იქ მირჩევნიაო.

მერე? მერე მიჰყვება ბიჭი ბატკნებს პატარა კომბლით. აი, იქ არის სანახავი თუ არის! აგვისტოს ბოლოს რომ დაბრუნდება და მთის ათასნაირ ამბებს მოჰყვება, მაშინ ნახეთ მთას თუ სჯობია შენი ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი!

ზარი უკანასკნელად ირეკება. სკოლის ეზოში ჟრიამული მატულობს: მოსწავლეები ერთმანეთს ემშვიდობებიან, მასწავლებლებს გული სწყდებათ.

ის ზარი სამ თვეს გაჩუმებული იქნება, სამ თვეს სკოლისკენ მომავალ ბილიკზე წამოიწევს ბალახი.

ასე იწყება არდადეგები ყველგან.

ასე დაიწყო არდადეგები შაშიანის საშუალო სკოლაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ახლა რა გავაკეთოთ?

სკოლის კარები დაკეტეს, ფანჯრები დახურეს, ეზოში სამი ბიჭი დარჩა: გიორგი, ზაზა და ირაკლი. სამივე კარგად სწავლობს, სამივე ბიწკინაშვილია, ამის გარდა, მეზობლებიც არიან; განსხვავება ის არის, — ირაკლი ცოტა უმცროსია, ისინი ახლა მეცხრე კლასში გადავიდნენ, ირაკლი კი მერვეშია.

— დღეს ფეხბურთი ვითამაშოთ! — წამოიძახა ზაზამ.

— ვითამაშოთ! — დაემოწმა ირაკლი.

— ფეხბურთი კი ვითამაშოთ, — თქვა გიორგიმ, — მაგრამ ჯერ ის მოვიფიქროთ, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე რა საქმეს მოვკიდოთ ხელი, რა გავაკეთოთ?

ბიჭები დაფიქრდნენ.

მართლაც და, რა გააკეთონ?

— ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე, — თქვა ზაზამ.

— ვერც მე, — თქვა არაკლიმ.

— იცით რა... — დაიწყო გიორგიმ.

და მერე დიდხანს იჩურჩულეს, იჩურჩულეს და აჩქარებით დაუყვნენ შარაგზას, შემდეგ კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაუხვიეს.

## ბრიგადირებს გაეცინათ

ის-ის იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სიმონ გოგიშვილი, მორიგ დავალებას აძლევდა ბრიგადირებს, რომ ბიჭები დაბარებულებივით შევიდნენ კაბინეტში. თავმჯდომარე ფეხზე წამოდგა.

— რას გვიბრძანებთ, ბიჭებო?

— ძია სიმონ, სამუშაო გვინდა, — მოახსენა გიორგიმ.

— ოჰო! — გაეცინათ ბრიგადირებს. — ახლა კი ავშენდით!

— ვენახები შევაწამლინოთ!

— ბრიგადირებად დავნიშნოთ!

თავმჯდომარე გაწყრა:

— რა მოგივიდათ! საამათო საქმეც მოინახება! — მერე ბიჭებს მიუბრუნდა, — მაინც რისი გაკეთება შეგიძლიათ?

— სიმინდი გაგვიპიროვნეთ, — ძლივს გაბედა ზაზამ.

— მაინც, რამდენი გინდათ?

— ერთი ჰექტარი.

— ერთ ჰექტარს მოერევით?!

— მოვერევით, მაშ! — გაეხარდა ირაკლის.

ძია სიმონმა მთავარი აგრონომი, გიორგი გაბრიელაშვილი იხმო:

— ამ ბიჭებს ალაზანთან ერთი ჰექტარი სიმინდი მიუზომე, დანარჩენი თვითონ იციან, მე მაგათ კარგად ვიცნობ.

— აბა, ბიჭებო, თოხების საქმე როგორ გაქვთ? — ღიმილით შეეკითხა აგრონომი ბიჭებს.

— ჩემი თოხი ყუაშია მორღვეული, — თქვა გიორგიმ.

— ჩემი თოხი კბილებს მე მთხოვს, — გაიცინა ირაკლიმ.

— ჩემს თოხს სამჭედლო მოენატრა, — ჩაიხითხითა ზაზამ.

თავმჯდომარემ რაღაც დაწერა ქაღალდზე და ირაკლის მიაწოდა:



— შოთა მჭედელი მოძებნეთ...

იმ საღამოს გვიან დაიკეტა სამჭედლო.

## შრიალებენ სიმინდები

არც მეორეა ადვილი, მაგრამ პირველი თოხნა მაინც ძნელია. ბელტებს გაფხვიერება სჭირდება, ბალახს ამოძირკვა, თორემ ცოტა ხანი გაივლის და, იცოცხლე, მოექცევა სიმინდს თავზე.

სიმინდები მწკრივად დაუთესიათ, კულტივაციაც ჩაუტარებიათ, ახლა მოუსვი თოხი და გადადგი ნაბიჯი, მოუსვი და გადადგი. თუ მიწამ ფეხის ტერფი არ დაგიმალათ, ეს იმას ნიშნავს, რომ თოხნა არ იცი, ეს იმით შეინიშნება, რომ უკან ნაფეხურები გრჩება. კარგი მთოხნელი კი ნაფეხურებს არ ტოვებს.

ბიჭებს რაღა ესწავლებათ, გასულ წელსაც იყვნენ საწარმოო პრაქტიკაზე.

ზაზა წელში მოხრილა და ღონივრად სცემს თოხს. თანდათან თხელდება სიმინდი, ბალახები აღარსად ჩანს, — გათოხნილი ადგილი თანდათან ფართოვდება.

შუადღისას ბიჭები ალაზანზე ჩადიან და ბანაობენ, საღამოს ისევ მუშაობენ, გვიან კი მანქანა ჩერდება საურმე გზაზე და გაბმით ახმიანებს საყვირს — გამოდითო. ბიჭები შინისაკენ მიდიან, გარუჯულები და იმ დღით კმაყოფილები. უფრო გვიან ალაზნიდან ქვენა ქარი უბერავს და შრიალებენ მწვანე სიმინდები.

## გამარჯობათ, მუშებო!

ორიოდე კვირა გადის და უკვე მეორედ გასათოხნია სიმინდი. სიმინდი უკვე მოღონიერდა, ბიჭებს უჭირთ შიგ სიარული, — მაშ რა იქნება, ხან შენ წამოედები და ხან ის!

ბიჭებმა ითათბირეს და, მოდი ღამ-ღამობით ალაზანზე დავრჩეთო.

ყველამ თავთავის სახლში თქვა, ყველამ თანხმობა მიიღო ოჯახიდან, და სამზადისს შეუდგნენ: ნაბდები იშოვნეს, საგზალი მოიმარაგეს და მანქანაზე დაბარგდნენ.

მერე დაიწყო გრძელი დღეები და მოკლე ღამეები, ალაზანში ბანაობა და შუადღისას გამტკბარი ჩრდილი, სოფლიდან გამოგზავნილი ამანათი და გამვლელ-გამომვლელთა შეძახილი:

— გამარჯობათ, მუშებო!

— მიდით, ბიჭებო, მიდით!

მუშაობდნენ ბიჭები და იწერებოდა შრომადღეები...

ხანდახან ბრიგადირი ჩამოივლიდა, გაიხედ-გამოიხედავ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



და, რაღაცას ჩაიწერდა, კარგიაო, და... წავიდოდა. მეტი არაფერი.

ღამე ვერხვქვეშ ცეცხლს ანთებდნენ, შემოუსხდებოდნენ ცეცხლს და ჰყვებოდნენ ზღაპრებს. ობლისა და ქოსა ტყუილას ზღაპარიც ითქმებოდა, ადეხანჯალასიც, ბოლოს ნაბდებში გაეხვევოდნენ.

მერე იძინებდნენ და ვერხვისხელა სიმინდები ესიზმრებოდათ, რომელთაც დიდი, ძალიან დიდი ტაროები ესხა.

## მასწავლებელი სიას კითხულობს

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა, შოთა ჩეკურიშვილმა ბიჭების ნამუშევარი ინახულა და ხუთზე შეაფასა. მოსწავლეებმა გაიხარეს.

აგვისტოს პირველ რიცხვებში გვალვები დაიჭირა, აგრონომმა გამოუცხადათ, სიმინდი უნდა მოირწყასო.

ისევ თოხები და ისევ ალაზანი.

წყალს გზა მისცეს და სიმინდში შეუშვეს. მიდის წყალი, მიდის და უკან შარვალაკარწახებულ ბიჭებსა და ტალახს სტოვებს. ბიჭები მუხლამდე ეფლობიან მიწაში.

დღეები დღეებს მისდევს.

ისევ გვალვები, ისევ სიმინდის მორწყვა.

მერე აგვისტოს ბოლო, მერე სექტემბერი, — ახალი მერხები, ახალი წიგნები, ახალი ტანსაცმელი და ცოტა უფრო გაზრდილი გოგო-ბიჭები...

მასწავლებელი სიას კითხულობს.

სიმინდს ახლა აღარც თოხნა სჭირდება, აღარც მორწყვა. ვეღარც სარეველა მოერევა, ვეღარც გვალვა. რა ხანია ტაროები გამოაჩინეს. ის ტაროები დამსხვილდნენ კიდეც. სიმინდის ქვედა ფოთლებს სიყვითლე შეეპარა. მგონი ისე გაუმაგრდათ მარცვლები, რომ მაჩვიც ვეღარ გაუტარებს კბილებს.

სკოლაში მიმავლებს თუ სკოლიდან მომავლებს რამდენჯერაც ბრიგადირი შეხვდებათ, იმდენჯერ ეუბნებათ,—თქვენისთანა ნაკვეთი მეორე არ მეგულებაო.

— გაიგე, რა თქვა, გიორგი?

— ირაკლიმ თუ იცის.

— იმასაც ეტყოდა.

ბიჭები ამაყად მიდი-მოდიან სოფელში.

## მანქანები ალაზნიდან მოდიან

ერთ დილით ირაკლის ბრიგადირი დახვდა სკოლაში, მერე გიორგი და ზაზაც მოვიდნენ.

— სიმინდი უნდა მოვტეხოთ, — თქვა ბრიგადირმა.



—მოვტეხოთ, — თქვა ზაზამ.

— მეც იმიტომ გინახულეთ, — გააგრძელა ბრიგადირმა, — ხვალ ჩემი მესამე რგოლი თქვენს ნაკვეთს აიღებს.

— ჩვენ თვითონ ვერ ავიღებთ?! — უთხრა ირაკლიმ, — ყველა უფროსკლასელი წამოვა კვირას.

— ეგ სხვა ამბავია...

მიდის ბრიგადირი და ეღიმება;

—უარით არ გამომისტუმრეს ამდროულა კაცი?!

თავმჯდომარემ რომ ეს ამბავი გაიგო, გაიცინა: რაკი მოიყვანეს, ალბათ, დააბინავებენ კიდეც, მაგას რა შეკითხვა უნდოდაო.

კვირა დილით მანქანებში ჩასხდნენ მოსწავლეები და ალაზნისაკენ დაეშვნენ, იქიდან კი სიმინდით დატვირთულები ბრუნდებოდნენ.

საწყობის გამგე, შალვა ჯიქიძე თვალებს არ უჯერებდა:

— ეს რა ამბავია, კაცო, ასეთი რამ აქ არ მახსოვს?! კიდევ მოიტანენ?

— ჯერ სადა ხარ! — სერიოზულად ამბობდნენ მძღოლები.

როცა უკანასკნელი მანქანა დაიცალა, საწყობის გამგემ ქვითარში ჩაწერა: 79 ცენტნერი.

—27-ის ნაცვლად არა? — შეეკითხა ბრიგადირი.

— ჰო, აბა, კაცო!

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ!

## კიდევ იქნება არდადეგები

პიონერხელმძღვანელმა გამოაცხადა, გაკვეთილების შემდეგ პიონერთა ოთახში ვიკრიბებითო.

ასეც მოხდა: შეიკრიბნენ, მერე დირექტორი, გუგული ყორღანაშვილი მოვიდა და ყველას გასაგონად გიორგი, ზაზა და ირაკლი ბიწკინაშვილებს შრომითი მამაცობისათვის მადლობა გადაუხადა და ფასიანი საჩუქრები გადასცა სამივეს. ფასიანი საჩუქრები, რა თქმა უნდა, წიგნები იყო. წიგნი ხომ მოსწავლისათვის ყველაზე ძვირფასია!

ეს ამბავი ჯერ სოფელში გაიგეს, შემდეგ გურჯაანში, და მაშინ ხომ მთელმა ქვეყანამ გაიგო, როცა გაზეთშიც დაიბეჭდა.

ზოგ-ზოგი მოსწავლე იმასაც ამბობს, მალე რადიოშიც გამოაცხადებენო. ბიჭები ამაზე არაფერს ამბობენ, მე კი ვიცი, — ისინი ახალ არდადეგებს ელოდებიან, ისეთსავე კარგ არდადეგებს, როგორიც წარსული იყო. ისიც ვიცი, სხვა ბიჭები რას ფიქრობენ: ვითომ მაგათზე ნაკლები რითი ვართ, ჩვენ კი ვერ ვიმუშავებთო?!

მუშაობა ყველას შეუძლია, მხოლოდ მონდომებაა საჭირო!

ჯერ კი სწავლის დროა და ბიჭები მეცადინეობენ, მერე სკოლაში მიდიან და იწერება ოთხები და ხუთები, — ესეც შრომადღეებია, ძვირფასებო, სასახელო შრომადღეები!

კარლო კობერიძე

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა





გიორგი ლაბაძე

მოთხრობა

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ყორანმა ერთი საზარლად დაიჩხავლა და ვენახში მდგარ საჩრდილობელ ხეზე შემოჯდა. დათამ თოფი ჩამოიღო მხრიდან და ინანა — რატომ ცოტა ახლოს არ არისო. ვაზნა მაინც ჩადო სავაზნეში; ვენახის კვალიდან ამოვიდა და მალვით ხისკენ გაემართა. მაგრამ დროზე მიუხვდა შავფრთიანი, ერთი ისევ დაიყრანტალა და ჰაერში აფრინდა. სროლა უაზრობა იქნებოდა.

„ნეტა, სად არის აქამდე ბესო?“ — გაიფიქრა დათამ და თოფი კვლავ მხარზე გადაიკიდა. მერე შორიდან დაინახა ვიღაც ოჩო-კოჩოდ მომავალი და ივარაუდა — ალბათ, ის იქნებაო. ბესო კოჭლი იყო და ისე დადიოდა, გეგონებოდა, მხრებზე ბავშვები შემოსხდომიან და „აიწონა-დაიწონას“ თამაშობენო. სწორედ ამის გამო ივარაუდა დათამაც, მაგრამ ის ვიღაც ბესო არ აღმოჩნდა, და ისევ სამუადღეო შემოვლას შეუდგა უხალისოდ.

დათა ყარაულად მუშაობდა კოლმეურნეობის ვენახში ბესოსთან ერთად. პირველი დღიდანვე მორიგეობა დააწესეს: დილიდან შუადღემდე დათა იყო, ნაშუადღევს კი ბესო. ადრე ეუხერხულებოდა დათას ყარაულად მუშაობა. როცა დანიშნეს, თავმჯდომარეს უსაყვედურა — ხელი მაკლია თუ ფეხიო. თავმჯდომარეს გაეცინა და უთხრა: — არც ერთი, ჩემო დათა, არც ერთი არ გაკლია და სწორედ ამიტომ დაგნიშნეთო. მეტი არაფერი უთქვამს მაშინ თავმჯდომარეს. დანარჩენს თვითონ მიხვდა, როცა მუშაობის დაწყებიდან კარგა ხანი გავიდა. ყველაფერს მაგარი და ჯანმრთელი ხელი ნდომებია. იოლი საქმე არ არსებობს. საქმის გაიოლება შეიძლება, მაგრამ თავისთავად იოლი საქმე არ არსებობს.

ბესო რომ მოცახუნდა, დათას საშუადღეო შემოვლა უკვე დამთავრებული ჰქონდა. ამხანაგს შენიშვნების წიგნი გადასცა და სახლისკენ წამოვიდა. ეს წიგნი ათასნაირი ჩანაწერებით იყო აჭრელებული. ეწერა, მაგალითად, დღეს ვისი ძროხა დაიჭირეს ვენახში, ვისი ხბო, ვისი ცხენი და სხვა ასეთები. ჩანაწერები მოკლე იყო, ხშირად სასაცილოც კი. მაგალითად, ერთგან ეწერა: „ელენა — ძროხა“, მეორეგან — „ალექსანდრე — ცხენი“, მესამეგან — „ამბროსი — ხბო“. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ამბროსი, რომელსაც ხბო ჰქონდა წიგნში მიწერილი, ბარე სამოცდაათი წლისა იქნებოდა.

დათა უგუნებოდ ჩავიდა ეზოში. რატომღაც დღეს ვერ იყო ხასიათზე. თოფი კედელზე ჩამოჰკიდა და სამზარეულოში გავიდა. იქ ცოლი იჯდა და იცრემლებოდა.

— რა ამბავია, ადამიანო? — იკითხა შემკრთალმა დათამ.

— მოხვედი? — წამოდგა ქალი. თვალები დაწითლებული ქონდა, — მარო უკანასკნელ დღეში ყოფილა.

— რა დაემართა? — დათამ წყალი ჩამოასხა ჭიქაში. მარო მისი ცოლისდა იყო. ამავე სოფელში იყო გათხოვილი, მაგრამ ცოტა მოშორებით ცხოვრობდა. აგერ, ორი წელია გამუდმებით ავადმყოფობდა და ამიტომ ცოლის ნათქვამი არც თუ ისე გაკვირვებია.

— რა ვიცი, — წინსაფრით თვალები ამოიწმინდა ქალმა, — შენ გიცდიდი, ახლავე უნდა წავიდეთ.

დათა სუფრას მიუჯდა და უხმოდ ისადილა.

— ბავშვები არ მოსულან? — იკითხა მერე.

— არა.

— დედა სად არის?

— ქსენიასთან, საბნის კერვაში ეხმარება.

ტანთ გამოიცვალეს, ბავშვებს თეფშგადაფარებული საჭმელი მაგიდაზე დაუტოვეს და ორღობეში გამოვიდნენ.

— დედა, — დაუძახა დათამ, როცა ქსენიას ჭიშკართან გაიარეს.

— რა იყო, ბიჭო, — შოისმა მოხუცის ხმა.

— ჩვენ მაროს სანახავად მივდივართ. ბავშვებს მიხედე, სახლში არაფერი გააფუჭონ.

მერე გზას გახედა, ფეხზე დგომისაგან დაღლილს შორი ეჩვენა და დღევანდელი უგუნებობა ისევ შემოაწვა გულს.

• • •

ეზოში დაღლილები შემოვიდნენ. უფროსი მაღალი იყო უმცროსზე. სამაგიეროდ, უმცროსს უფრო სქელი ჩანთა ეჭირა ხელში და ჯიბეებიც უფრო გამობერილი ჰქონდა ათასნაირი ნატეხებით და ფერადი ქვებით. ჩანთები საწოლზე მიაგდეს და სამზარეულოში გავიდნენ.

— დედა! — დაიძახა უფროსმა.

— ბებია! — დაიძახა უმცროსმა.

სახლში არავინ იყო.

მერე ეზოში გამოვიდნენ და ხელახლა ხმამაღლა დაიძახეს:

— დედა!

— დედაა!..

უმცროსის ხმა უფრო სუსტი იყო, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მონდომებით იძახოდა.

— ჰო! — გამოეხმაურა ბებია ქსენიის სახლიდან.

— დედა სად არის?

— დეიდაშენთან. ძალიან ავად ყოფილა და ორივენი იქ წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საჭმელი?

— საჭმელი მაგიდაზე იქნება. ჭკვიანად იყავით, მალე მოვალ.

ისევ სახლში შებრუნდნენ და სამზარეულოსაკენ გაემართნენ. სანამ წინა ოთახს გაივლიდნენ, უფროსმა კედელზე ჩამოკიდებული თოფი შენიშნა და აღტაცებით წამოიძახა:

— თოფი!

შიმშილი ორივეს გადაავიწყდა. ვინაიდან თოფი მაღლა ეკიდა, სკამებს ხელი დაავლეს და ჩამოსაღებად გაიქცნენ.

— ჯერ მე და მერე შენ! — თქვა უფროსმა.

— არა, ჯერ მე! — თქვა უმცროსმა.

ამაზე შეთანხმდნენ: თოფი ჯერ უმცროსს უნდა სჭეროდა, მერე უფროსს.

ისინი თამაშს „ტყვეობანათი" იწყებდნენ. ამ თამაშის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი „ტყვედ" ჩაიგდებდა მეორეს, კედელთან მიიყვანდა და „ესროდა"... ასე თამაშობდნენ ყოველთვის, როცა მამა სახლში არ იყო და თოფი კედელზე ეკიდა. მერე ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. საქმე იმაში იყო, რომ თოფის ჩახმახის ტკაცუნით მოხიბლული უმცროსი აღარ აპირებდა რიგი უფროსისათვის დაეთმო. ამ ბრძოლაში გამარჯვებული კი ყოველთვის უფროსი გამოდიოდა.

უმცროსმა ახლაც მედიდურად დაიჭირა თოფი ხელში და თამაში დაიწყო. მან ის (მტერი) დააპატიმრა სწორედ მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა შიმშილი ვეღარ მოითმინა და სამზარეულოში გავლისას ყველი და ჭადი მოიტეხა. დააპატიმრა ყოველგვარი წესის დაცვით. ჯერ დაუღრიალა:

— ხელები მაღლა, ზურგისაკენ!

მერე მივიდა და ხელები უკან გაუკრა ზონრით. მკაცრად შეხედა „ტყვეს" და კედლისაკენ წაიყვანა. უფროსს მოესწრო ჭადის ჩაკბეჩა და ახლა ცალი თვალით ყველს უყურებდა. ის თანდათან მიუახლოვდა კედელს და ბოლოს ზურგით მიებჯინა.

უმცროსი ჩახმახის გადაწევას შეუდგა და თავი ძირს, თოფისაკენ დახარა. უფროსმა ისარგებლა ამით, გაითავისუფლა მარჯვენა ხელი, რომელშიც ყველი ეჭირა და მოკბიჩა...

—აბა, აბა! — დაუყვირა უმცროსმა და თოფი შემართა, — ახლავე შეწყვიტე ჭამა!

უფროსმა ჭამა შეწყვიტა. მერე რატომღაც ფანჯარაში გაიხედა. გარეთ მზე იყო. ვენახში ატმები ყვაოდნენ.



გვერდზე კი, სარკმლის პირდაპირ, ვაზის ტალავრის გაფოთლილი ტოტი მოჩანდა.

— შენ, ეი, გაქცევა არ გაბედო! — მკაცრად შესძახა უმცროსმა, მერე თოფი შემართა და, ისე, როგორც ყოველთვის, როცა სასხლეტს თითს გამოსდებდა ხოლმე, თვალები დახუჭა.

• • •

ავადმყოფმა მძიმედ დაიწყო სუნთქვა.

თოფი, — გაახსენდა უცებ დათას. მან ვერ გაიგო, რამ გამოიწვია ეს მოგონება, რატომ მაინც და მაინც ამ წუთში გაახსენდა. მაგრამ იყო ამაში რაღაც საშინელი და ყველაფრის მომცველი. ეს იყო შეუცნობელი ინსტიქტი, რომლის საშუალებითაც ადამიანები მხოლოდ წინასწარ გრძნობენ, მაგრამ ვერკი გებულობენ. ერთმა სიკვდილმა, რომელიც ახლა ავადმყოფს ფერხთით უჯდა, გამოიწვია მეორე უფრო საშინელი სიკვდილის წინაგრძნობა და შეაკრთო დათა. ეს, არც თუ საფუძველს მოკლებული ეჭვის ჭია, თანდათან გაიზარდა, გაიზარდა და მთელ მის გონებას დაეპატრონა.

„მაინც, როგორ დამავიწყდა ვაზნის გამოღება?“ — გაიფიქრა მან. მერე ყორნის ჩხავილი გაახსენდა, ის ავბედითი უხასიათობაც, დილიდან რომ შემოწოლოდა გულს, და უჩვეულო ძრწოლამ აიტანა.

ოთახში ველარ დაეტია და გარეთ გამოვიდა. მერე ვერც იქ გაჩერდა — ქუჩაში გავიდა, ვერც ქუჩაში გაძლო — სახლისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაემართა, ვერც აჩქარებულმა ნაბიჯმა დააკმაყოფილა და გაიქცა.

თოფი, თოფი, თოფი! — თითქოს ფეხის ხმაც ამ სიტყვებს იმეორებდა.

ჭიშკართან შედგა! სახლში სიჩუმე იყო... სიჩუმე იყო გვერდზე მოდგმულ საბძელშიც, ბოსელშიც, სასიმინდეშიც. სიჩუმე იყო მთელ ეზოში, კარდახურულ ოთახებში, ირიბად მაცქერალ ფანჯრებში. ყველგან სიჩუმე იყო — ავადგამეფებული სიჩუმე. დათა გაოგნებული იდგა და გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. რაღაც მეტად დიდი და საშინელი... უცებ გამაყრუებლად დაიქუხა... დათამ ხარივით დაიბღავლა და ჭიშკარს ეცა.

• • •

თოფის ხმის გაგონებაზე უმცროსმა თვალები დააჭყიტა და ძმას შეაშტერდა. უფროსი ისევ იმავე ადგილას იდგა. მის თავს ზემოთ კი დაცხრილული და გაშავებული კედელი მოჩანდა. ერთ ხანს ორივენი ასე გაოცებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ვერ გაეგოთ, რა მოხდა. მერე უცებ გონს მოვიდნენ. ერთი ისევ აჭედეს წამლისაგან გაშავებულ კედელს და კარისაკენ გაიქცნენ.

ამ დროს კარები გაიღო და ოთახში ფერწასული დათა შემოიჭრა. ბავშვებმა უკან დაიხიეს და შიშით კედელს აეკრნენ.

„გვცემს, — ფიქრობდნენ ისინი, — აუცილებლად გვცემს“.

თავები დახრილი ქონდათ და საკუთარი ფეხსაცმლების წვერებს დასცქეროდნენ.

მაგრამ დათა ადგილიდან არ იძროდა. იდგა კედელს მიყრდნობილი, საკინძგახსნილი, და ბავშვებს ესმოდათ მისი ხშირი სუნთქვა. მერე დაინახეს, როგორ დაიხარა იგი და ძირს დაგდებული თოფი აიღო. ერთ ხანს ხელში ატრიალა, მერე სასხლეტს დაუწყო წვალება. გადაწევდა და „ტკაც“ დაიძახებდა, გადაწევდა და ისევ „ტკაც“. ბავშვები მოწყუსხულივით შეჰყურებდნენ.

ბოლოს დათამ სასხლეტის წვალებას თავი დაანება და თოფი გვერდზე გადადო. ერთ ხანს ისევ გაუნძრევლად იდგა. მერე ფანჯრისაკენ შებრუნდა და შუბლი მოისრისა. ბავშვები სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალს. დაინახეს, როგორ აუკანკალდა მას ხელები, როცა თვალებზე აიფარა და უცებ მათ პატარა გულებში რაღაც შეირხა, რაღაც ძალიან სათუთი და ნაზი.

— მამა, — თქვა უმცროსმა ცრემლნარევი ხმით და ფეხი წინ წადგა, — მამა... დღეს მე ისტორიაში ხუთიანი მივიღე...

უფროსმა გაკვირვებით შეხედა და მერე ისიც წინ წავიდა:

— მეტს აღარ ვიზამთ, რა, მამა!

დათა შემობრუნდა. ბავშვები ცრემლმორეული თვალებით შეჰყურებდნენ და ხმას არ იღებდნენ. უფროსს ისევ ეჭირა ხელში ყველი და ჭადი და უხერხულად მალავდა ზურგს უკან. უმცროსს კი ცოტაღა უკლდა ატირებას.

უცებ დათას გული შეუთრთოლდა. სწრაფად მიუახლოვდა ბავშვებს და ხელი მოხვია.

— შვილებო... — თქვა მან, — ჩემო პატარა, სულელო შვილებო...

ღია ფანჯრიდან გრილი ნიავი ქროდა და ახლად ამწვანებული ხეხილის სურნელი შემოჰქონდა. შორს კი მოჩანდა აჯამეთის ტყე და ახალციხის თოვლიანი მთა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საზღვარგარეთელი

# მეგობრები

### ბულგარეთი

მშობლებმა ნება დამრთეს, ჩვენს სახლში პიონერული კლუბი მომეწყო. გამოვყავით ყველაზე ლამაზი ოთახი. ფანჯარასთან ზაფხულში მოგროვებული მინერალები, ჰერბარიუმი და მწერების კოლექცია გამოვფინეთ.

ვიყიდეთ სხვადასხვა სათამაშოები, შევქმენით ჩვენი ბიბლიოთეკა, ვკითხულობთ წიგნებს, ვთამაშობთ ჭადრაკს, დავდივართ კინოში, ვისვენებთ...

ჩვენი კლუბის შესახებ სხვა რაზმებმაც გაიგეს. გვინახულეს, მოეწონათ და მათაც მოგვბაძეს.

რაინა ლობანოვა,
სოფ. იაკიმოვი, მიხაილოვგრადის ოლქი, V კლასი

* * *

ჩვენს კლუბს «ხელმარჯვეები» დავარქვით, ყველაფერი, რაც იქ არის, ჩვენივე ხელით გავაკეთეთ.

ყველანი ერთად ვაგროვებთ ჯართს. ჩვენმა რაზმმა რაზმეულში პირველი ადგილი დაიკავა. ძალზე ციოდა. ხელები გვეყინებოდა, მაგრამ არავინ შეშინებულა, არავინ გაქცეულა შინ.

გოგონებმაც ისახელეს თავი.

იფ, რა გემრიელი საჭმელები დაამზადეს! ცხადია, ჩვენი დახმარების გარეშე არც ეს საქმე გაკეთებულა — შეშა დროზე მოვზიდეთ, თუმცა გზაზე წვიმამ დაგვცხო და სეტყვაც მოვიდა.

გიორგი ტოდოროვი, VII კლასი

* * *

მის გარეშე ჩვენთან არც ერთი საქმე არ კეთდება. ბუბი ყოველთვის ჩვენთან არის, როგორც კი ჩვენ შეგვამჩნევს, კუდს აქიცინებს და უკანა ფეხებზე ჯდება. ერთხელ, კლუბის კარების დაკეტვა დაგვავიწყდა. ბუბი შემოვარდა, დაითრია მაგიდიდან სუფრა და სულ ნაკუწებად აქცია. ასეთი მოუსვენარია ჩვენი რაზმის მეთერთმეტე წევრი და რა ვუყოთ! რაინსა და იორდანკას ძალიან უყვართ სიმღერა. ისინი ყველაზე კარგი მომღერლები არიან ჩვენს რაზმეულში. კრისტა კი სალამურზე უკრავს. კლუბში ბებია თინა მოვიწვიეთ. მან ორასამდე ძველი სიმღერა იცის, ჩვენ გადავწყვიტეთ ჩავწეროთ ისინი.

თინა ტოდოროვა, VI კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფოტო

მ. როსტიაშვილისა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

მაშინ სულ პატარა იყო — 5-6 წლის. თამაშს თავს მიანებებდა, მაგიდას მიუჯდებოდა, და თეთრ ქაღალდზე ჩამოდგებოდნენ აფრააშვებული გემები.

ხატვა იტაცებსო, ასე ფიქრობდა ყველა, მაგრამ, როცა გადაშლიდით მის ალბომს, ეჭვი შეგეპარებოდათ: მხოლოდ გემები იყო ჩახატული. ეჭვი მაშინ გამართლდა, როცა გიორგი პიონერთა სასახლის გემთმოდელისტთა კაბინეტში მივიდა. მივიდა და თან მიჰყვა სიბეჯითე, ახლის ძიება და ახლის შექმნის წყურვილი:

გადიოდა წლები... ალბომში ჩანახატები ხორცს ისხამდა. გოგი უკვე მოქმედ მოდელებს აგებდა. ბავშვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე მისმა მოდელმა გამარჯვება მოუტანა გოგის. მაგრამ პირველი დიდი გამოცდა გიორგი ვარაზის მოქმედმა მოდელმა შარშან ჩააბარა და უმაღლესი ჯილდოც დაიმსახურა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი, პირველი ხარისხის დიპლომი, ოქროს საათი და მუდმივი კალამი ჩამოიტანა პატარამ ლენინგრადიდან. უფრო გაეზარდა ბიჭუნას ინტერესი, დაუღალავად შრომობდა ახალი გემის რეგულირებასა და მართვაზე, მის გაფორმებაზე. და აი, ამ ზაფხულს გიორგი ვარაზი თავისი მოდელით — „მაშველი ბუქსირი“ — უფროსთა შორის გემთმოდელისტთა საკავშირო შეჯიბრში იღებს მონაწილეობას. შეჯიბრი კიშინიოვში ჩატარდა. კომკავშირის ტბის ნაპირზე შეიკრიბნენ მოწინააღმდეგენი. გამოცხადდა შეჯიბრის ყველაზე პატარა მონაწილე — გიორგი ვარაზი. გული უჩვეულოდ უცემდა... ხუმრობა ხომ არ იყო, მის წინ იდგნენ ძლიერი მოწინააღმდეგენი: მოსკოველი ინჟინერ-კონსტრუქტორი ლევან კიტინი და ლენინგრადის გემთმშენებლობის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი იური დუბკოვი. უკანასკნელად შეამოწმა გიორგიმ გემის მართვა, და მისი „ატლეტი“ წყალში შეცურდა. დახედეთ ამ დიაგრამას! თითქოს ლაბირინთია. გემს რადიომართვით ისე უნდა გაევლო 20 კარი ასმეტრიან დისტანციაზე, ხან წინა და ხან უკანა სვლით, რომ დროშებს არ დასჯახებოდა. შეჯიბრის 17 მონაწილიდან მხოლოდ გიორგიმ მიაღწია ამას და, როცა მისი გემი უკანასკნელ დროშას გასცდა, პატარა გიორგი ხელში აიტაცეს, კოცნიდნენ, გამარჯვებას ულოცავდნენ.

გამარჯვებული დაუბრუნდა გიორგი ვარაზი სასახლეს და თან ჩამოიტანა თასი, მოლდავეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი, პირველი ხარისხის დიპლომი და ფოტოაპარატი „ფედ-2“.

ახლახან გიორგის თავის კაბინეტში შევხვდით. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სახანძრო გემის მოდელის აგებითაა გატაცებული.

რ. ირემაშვილი




კულტურული ადამიანი, კულტურული ქცევა, კულტურული წრე — ეს გამოთქმები ცხადია, ხშირად გაგიგონიათ. მაგრამ ყველა თქვენგანმა როდი იცის, თუ რას გულისხმობენ ეს სიტყვები, რა შინაარსი აქვთ მათ. ამას წინათ რედაქციას პიონერთა ჯგუფი ესტუმრა. გვესაუბრეთ და ასეთი კითხვით მოგვმართეთ: როგორი უნდა იყოს კულტურული ადამიანი, როგორ უნდა იქცეოდეს იგი? პასუხი მეტად ზოგადი იყო — კულტურული ადამიანი კარგად უნდა იქცეოდესო... მაგრამ რას გულისხმობს „კარგად ქცევა“? კარგად მოქცევა შეიძლება ყველას სხვადასხვაგვარად ესმოდეს, ერთისათვის კარგი ერთი იყოს, მეორისათვის მეორე.

და აი, რედაქციაში შემოსულმა წერილებმა, სადაც ბავშვები გვთხოვენ განვუმარტოთ, კონკრეტულად რა თვისებები უნდა ახასიათებდეს კულტურულ ადამიანს, და იმ მცირე საუბარმა, რომელიც პიონერებთან გვქონდა, გვიკარნახა თქვენი „პიონერთა კლუბის“ დღევანდელ სხდომაზე მოგვეწვია პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვლადიმერ ბაგუა.

ყურადღებით წაიკითხეთ, ბავშვებო, მისი საუბარი და თქვენ მრავალ საინტერესო, ცხოვრებაში გამოსადეგ რჩევა-დარიგებას მიიღებთ

# დღეს კულტურაზე ბევრს საუბარი

სიტყვა „კულტურა“ ლათინური წარმოშობისაა და ქართულად დამუშავებას, მოშენებას, განვითარებას ნიშნავს. როცა ლაპარაკობენ ადამიანის კულტურაზე, მის ზნეობრივ, გონებრივ, ესთეტიკურ ან ისტორიულ კულტურაზე, გულისხმობენ მეცნიერების, ხელოვნების, განათლებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობას, ათვისებულ სასარგებლო ცოდნა-ჩვევებს.

კულტურული ადამიანი ყურადღებიანი და მორიდებული უნდა იყოს, გულდასმით უსმენდეს მოსაუბრეს, სიტყვა არ უნდა შეაწყვეტინოს, არ მისცეს შეკითხვა საუბრის დამთავრებამდე. უფროსების საუბარში უმცროსი არ უნდა ჩაერიოს, ვიდრე მას არ შეეკითხებიან და, თუ მისი მონაწილეობა საჭიროა, ილაპარაკოს თავაზიანად, მოკრძალებით, მშვიდად. ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე, რაც მან კარგად იცის, ეცადოს აზრი გამოთქვას მოკლედ, ნათლად, გასაგებად, არ გაიმეოროს ნათქვამი და არ გამოტოვოს მნიშვნელოვანი. საუბარს თანმიმდევრული სახე უნდა ჰქონდეს. ერიდეთ ბუნდოვან გამოთქმებს და ილაპარაკეთ ლიტერატურული ენით. ადამიანი უნდა საუბრობდეს სასიამოვნო ტონით, არც ძლიერ ხმამაღლა, არც მეტად სუსტი ხმით. უნდა გვახსოვდეს, რომ ყვირილით ლაპარაკი, რომელიც ზოგიერთ მოსწავლეს ახასიათებს, უკულტურობაა და მას უნდა ვებრძოლოთ.

მასწავლებელს პიონერი ასე უნდა მიმართავდეს: „პატივცემულო მასწავლებელო“ (დირექტორო), ხოლო ამხანაგებს სრული, სწორი სახელით (ავთანდილ, ვლადიმერ, თამარ და სხვ.); ერიდოს დამახინჯებულ (ავთოია, ლადოია და სხვ.) და ზედმეტ (როხროხა, ფისო, მგელთავა და სხვ.) სახელებს; უფროსებს მიმართავდეს თქვენობით, საჭიროების შემთხვევაში იხმაროს სიტყვები: „გეთაყვა“, „ინებეთ“, „მობრძანდით“, „შეიძლება შეგეკითხოთ?“, „ხომ არაფერს დამავალებთ?“ და სხვ.

უფროსებს მოკრძალებით უნდა მივესალმოთ და, რაც მთავარია, სალამი უნდა დავასწროთ: „სალამი, პატივცემულო მასწავლებელო!“ (ექიმო, პიონერხელმძღვანელო და სხვ.) „სალამი, ძია გიორგი“, (დეიდა ნინო, ივანე პაპა, ბებია მარიამ და სხვ.). ტოლ-ამხანაგებს მივესალმებით უბრალოდ: „გამარჯობა, კოტე!“ (დალი, შოთა).

თუ შორეულ ნაცნობს ვესალმებით, რომლის სახელი არ გვახსოვს, მივმართავთ ასე: „გამარჯობათ!“ შეკრებილ საზოგადოებასაც ამავე სიტყვებით უნდა მიმართოთ. მისალმების სიტყვები შეიძლება დროის მიხედვით იცვლებოდეს, („დილა მშვიდობისა“, „საღამო მშვიდობისა“, „ღამე მშვიდობისა“ და სხვ.) უფროსს ხელი უნდა გავუწოდოთ მას შემდეგ, როცა ის თვითონ შემოგვთავაზებს.

თუ თქვენზე უმცროსები გესალმებიან ან სალამი დაგასწრეს, უნდა უპასუხოთ: „გამარჯობათ!“ „დილა, (საღამო) მშვიდობისა“. როდესაც ქუჩაში ხართ, მისალმებისას ვაჟმა ქუდი უნდა მოიხადოს და ოდნავ შესამჩნევად თავი დაუკრას.



განშორებისას ნაცნობებს მივმართავთ სიტყვებით: „ნახვამდის“, „მშვიდობით“, „კარგად ბრძანდებოდეთ“ და სხვ. როგორც მისალმების, ისე გამომშვიდობების შემთხვევაში საჭიროა ფეხზე ავდგეთ. სტუმარი სადარბაზო შესასვლელამდე ან ჭიშკრამდე უნდა მივაცილოთ. ასევე სასურველია ძილის წინ მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებს ძილი ნებისა ვუსურვოთ.

პიონერი უნდა უჯერებდეს მშობლებს, მასწავლებლებსა და ასაკით უფროსებს, უყოყმანოდ უნდა ასრულებდეს მათს მითითებებსა და დავალებებს. საჭიროა ყოველთვის ყურადღებით მოისმინო უფროსთა რჩევა-დარიგება. კითხე მშობლებსა და მასწავლებლებს, რა შემთხვევაში როგორი ქცევაა საჭირო. ოჯახში მოკრძალებულად და თავმდაბლად უნდა იქცეოდე, იყო მშობლების, და-ძმებისა და ოჯახის სხვა ყველა წევრის მოსიყვარულე და ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშგამწევი, უნდა გქონდეს კოლექტიურობისა და კოლეგიალობის გრძნობა, ეხმარებოდე ოჯახის წევრებს ოჯახის საქმიანობაში.



კეთილშობილების გრძნობა პიონერს უკარნახებს დაეხმაროს ავადმყოფ და მოხუც მეზობლებს, ზედმეტად არ იხმაურო.

უფროსი შესასვლელში წინ უნდა გაატაროთ და უთხრათ: „გთხოვთ, მობრძანდეთ“.

გახსოვდეს, რომ ზრდილობიანი კაცი სხვას არ ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში, ეცდება ისე მოიქცეს, რომ არ შეამჩნიოს უხერხულობა და შეშფოთება. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ცხვირის დაცემინებისას ამბობენ ხოლმე: „სიცოცხლე“, „ჯანმრთელობა“... ეს არ არის საჭირო, მეტადრე მაშინ, თუ საზოგადოებაში ვიმყოფებით.

საზოგადოებაში თითის, ჯოხის ან სხვა ნივთის ვინმეს მიმართულებით გაშვერა უკულტურო ქცევაა და მას უნდა ვერიდოთ.

არ უნდა შევაჩეროთ ყურადღება ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანზე, არ უნდა გავხადოთ ეს ნაკლი მსჯელობის საგნად და თუ ჩვენი სურვილისა და მონაწილეობის გარეშე მასზე მაინც დაიწყება ლაპარაკი, უნდა ვეცადოთ შევანელოთ უსიამოვნობის ეფექტი და ვამტკიცოთ, რომ მთავარია სულიერი სილამაზე და არა ფიზიკური, რომ ფიზიკური ნაკლი ადამიანის ღირსებას სრულიადაც არ ამცირებს.

კულტურული ადამიანი არასოდეს არ მიაყენებს შეურაცხყოფას ადამიანს საერთოდ, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემთხვევით უნებლიედ აწყენინებენ. ასევე არ არის მიზანშეწონილი, ტოლს ან თუნდა ასაკით უმცროსს დავუწყოთ ჭკუის სწავლება საჯაროდ და მისი პიროვნული ღირსებები შევლახოთ.

პიონერს უნდა ახასიათებდეს მორიდებულობის გრძნობა. თუ ხედავთ, რომ ადამიანი შეწუხებულია და ნერვებაშლილი, ნუ აეკვიატებით, ნუ დაუწყებთ გამოკითხვას თუ შეამჩნევთ, რომ თქვენთვის აზრის გაზიარება არ სურს. არ უნდა დავუშვათ ზედმეტად თამამი ქცევა. მაგრამ თავაზიანობა და მორიდებულობა ყველა შემთხვევაში დათმობას როდი გულისხმობს. თუ ვინმე შეგნებულად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, იქცევა უდისციპლინოდ, შეურაცხყოფს ადამიანებს, იგი უნდა გავაძევოთ, ვიმოქმედოთ მასზე შეღავათებისა და შემწყნარებლობის გარეშე.

ქუჩაში პიონერი ზუსტად უნდა იცავდეს მოძრაობის წესებს, ქუჩებსა და მოედნებზე გადავიდეს განკუთვნილ ადგილზე. ტროტუარზე უნდა ვიაროთ მარჯვენა მხარეს. გზა უნდა დაუთმოთ უფროსებს. შუა ტროტუარზე გაჩერება უზრდელობაა; თუ ნაცნობი შეგხვდათ, საჭიროა გადავინაცვლოთ მარჯვენა მხარეს, ტროტუარის კიდურზე და იქ ესაუბროთ მას.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაუშვებელია ხმამაღლა ლაპარაკი, ყვირილი, ხარხარი. არ არის მიზანშეწონილი სხვების გასაგონად ვილაპარაკოთ სკოლაზე, პიონერულ ორგანიზაციაზე, მასწავლებლებზე და ა. შ. ტრანსპორტში



შესვლისთანავე უნდა შეიძინოთ ბილეთი და ჩამოსვლისას ჩააგდოთ ურნაში.

მოზარდმაყურებელთა თეატრში კინოთეატრებსა და სხვა სანახაობებზე დაგვიანების შემთხვევაში დარბაზში ფრთხილად უნდა შეხვიდეთ ისე, რომ მსხდომთ ხელი არ შეუშალოთ. დარბაზში უნდა უქუდოთ შევიდეთ და ადგილზე მისვლამდე მაყურებელთა წინ გავიაროთ პირით მათკენ და არა ზურგით. სპექტაკლის მიმდინარეობისას საუბარი, ხმაური, სკამის ჭრიალი, პროგრამის შრიალი დაუშვებელია. სპექტაკლის ან კინოსურათის ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ, არ უნდა დავუშვათ რეპლიკები უადგილო ოვაციები და სხვ. ამათუიმ ნომრის დამთავრების შემდეგ, მოწონების შეძახილები განმეორების მიზნით დასაშვებია და იგი უზრდელობად არ ჩაითვლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვისტვინოთ.



პიონერი ტაქტიანი უნდა იყოს. ტაქტი ზომიერების გრძნობაა. ტაქტის დაცვა გულისხმობს სხვა ადამიანის ხასიათთან შეთანხმებას, მის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას, მისი განწყობილების გამოცნობას. თუ მეგობარი დაღვრემილია და მოწყენილი, არ უნდა დავიწყოთ სიცილ-კისკისი, სიმღერა და დამცინავი ყვირილი. თუ ამხანაგი შეცდომას უშვებს, მას ტაქტის დაცვით უნდა ვაკრიტიკებდეთ, არ უნდა ვიხმაროთ შეურაცხმყოფელი სიტყვები, იგი უნდა გრძნობდეს, რომ ელაპარაკება მოსიყვარულე მეგობარს, რომელიც ნაწყენია მისი ამათუიმ საქციელით. მეგობრის პირად ცხოვრებაში უტაქტო ჩარევით შეიძლება მისი ზიზღი გამოიწვიოთ და ჩვენს სიტყვებს მასზე ზემოქმედების ძალა არ ექნება. სამართლიანი, ტაქტიანი შენიშვნა კი არათუ უკმაყოფილებას არ იწვევს, არამედ მადლიერების გრძნობას წარმოშობს ხოლმე.

ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად – ზრდილობა...

**ნახ. ელ. ამბოკაძისა**



# ჭადრაკი და მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები

ჭადრაკს და მის საიდუმლოებას, თავისი არსებობის 1400 წლის მანძილზე, მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ადამიანი ეზიარა. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო. მან, თავის ძმასთან ერთად, ახალგაზრდობაში შეისწავლა ჭადრაკის თეორია და პირველი თანრიგის სიძლიერით თამაშობდა. განსაკუთრებულად დიდ დროს ვ. ი. ლენინი კუნძულ კაპრზე მ. გორკისთან სტუმრობისას და სოფელ შუშენსკოეში პოლიტიკურ გადასახლებაში მყოფი უთმობდა ჭადრაკს.

ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო კარლ მარქსი. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მარქსის მეგობარი ვილჰელმ ლიბკნეხტი; მარქსი ხშირად ეთამაშებოდა ვოლფს და მასთან მორიგი წაგების შემდეგ, მთელ ღამეებს ათენებდა ახალი ვარიანტების ძებნაში მის წინააღმდეგ სათამაშოდ. რამდენჯერმე შეხვდა მარქსი ჭადრაკის ოსტატს ნეიმანს. მისგან მარქსი წინასწარ მხოლოდ მხედარს იღებდა ხოლმე. მათი შეხვედრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პარტია, რომელიც მარქსმა მოიგო, გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალ „შახცაიტუნგში" 1869 წელს.

მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ ადამიანს უყვარდა ეს გონივრული გასართობი. პეტრე პირველს კარგად ესმოდა ჭადრაკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა და დიდ ყურადღებასაც უთმობდა მას. აი, ერთი მისი ჩანაწერიც; „მთელი დღე სახლში ვიყავი და ბიტკა-ხუცესს ჭადრაკს ვეთამაშებოდი": ვინ იყო ეს „ბიტკა-ხუცესი" დღემდე უცნობია.

ნაპოლეონ 1-ისა და მისი ჭადრაკისადმი სიყვარულის შესახებ მრავალ საინტერესო ფაქტს გვაწვდის ისტორია. ჯერ კიდევ როცა ახალგაზრდა ოფიცერი იყო, ნაპოლეონი ხშირად დადიოდა პარიზის საჭადრაკო კაფე „რეჟანსში". ეს კაფე დღესაც არსებობს და იქ ჩასულ ტურისტებს უჩვენებენ მაგიდას და ჭადრაკის იმ კომპლექტს, რომლითაც ოდესღაც თამაშობდა ნაპოლეონი.

1798 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწის, რობესპიერის შესახებ ჭადრაკის ისტორიამ მრავალი საინტერესო ფაქტი შემოგვინახა. რობესპიერი აზარტული მოთამაშე ყოფილა და კაფე „რეჟანსში" ხშირად დადიოდა. ერთ-ერთი ასეთი თამაშის დროს მან ერთ ახალგაზრდასთან მარცხი განიცადა და ამით აღელვებულმა წამოიძახა, — „რაზე ვთამაშობთ?" — „ადამიანის სიცოცხლეზე, რომელიც კონსერჟერის ციხეში იტანჯება, და ამიტომ გთხოვთ მომცეთ იგი." — უპასუხა ყმაწვილმა.

პატიმარი რობესპიერის ერთ-ერთი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო და, მიუხედავად ამისა, მან მაინც გასცა ქაღალდი მის გასათავისუფლებლად. ის ახალგაზრდა ყმაწვილი კი, რომელმაც რობესპიერს მოუგო, იყო ვაჟურად გადაცმული ქალიშვილი, პატიმრის საცოლე.

„დონ-კიხოტის" სახელგანთქმულ ავტორს სერვანტესს ჭადარკის ცხოვრებასთან შედარება უყვარდა — იგი ამბობდა; — „ცხოვრება, — ჭადრაკის ერთი პარტიაა. მთავრდება ცხოვრება, — მთავრდება პარტია და მეფეებსაც და უბრალო პაიკებსაც ერთსადაიმავე ყუთში ალაგებენ".

დიდი რუსი პოეტის ა. პუშკინის საყვარელი გასართობი იყო ჭადრაკი. იგი ერთ ხანს ფილიდორის სახელმძღვანე-

## „ყოველი მეორე" ქულა

### სპორტის ოსტატ გივი ჩოხელის ნაამბობი



დილომში, სადაც ჩვენს გუნდს სავარჯიშო ბაზა აქვს, ხშირად ნახავთ ბავშვებს. დილაა, შუადღე თუ საღამო, არ სცილდებიან სავარჯიშო მოედანს. ჩამწკრივდებიან პირით ხაზზე, შემოჯდებიან აგურის ღობეზე, გაფაციცებით ადევნებენ თვალს ვარჯიშს, დაუსრულებლად კამათობენ, ცდილობენ არ გამორჩეთ ფეხბურთელთა არც ერთი ცრუ მოძრაობა, დარტყმა თუ მეკარის ნახტომი.

ბურთი კარს რომ ასცდება ან გვერდზე გადავარდება, გაედევნებიან უკან, ერთხელ მაინც დავარტყათ ფეხი ოსტატების ბურთსო.

„დინამოს" სტადიონზე რომ მივალთ, ისინი ახლა იქ დაგვხვდებიან, შემოესევიან ავტობუსს, გასახდელში მოგვდევენ ფეხდაფეხ, თამაშის თუ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ კი — საათობით გველოდებიან გასასვლელში. საიდანღაც მათ ყველაფერი იციან: როდის ვვარჯიშობთ, როდის მივემგზავრებით, ანდა ვბრუნდებით სხვა ქალაქებიდან. ასე განსაჯეთ, ჩვენი ცხოვრების წვრილმანებშიც კი

ლოს დაეწაფა და ჭადარკის თეორიის შესწავლას შეუდგა. ცოლისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათში პუშკინი წერდა: „...მადლობელი ვარ, სულო ჩემო, რომ ჭადრაკის თამაშს სწავლობ. ეს აუცილებლად საჭიროა ყოველი კარგი ოჯახისათვის — ამას შემდეგში დაგიმტკიცებ.“

საინტერესოა ტურგენევის დამოკიდებულება ჭადრაკთან: იგი ნახევრად პროფესიონალი და ძლიერი მოთამაშე იყო, კარგად იცოდა ჭადრაკის თეორია, მონაწილეობდა ტურნირებში. პარიზში ყოფნისას ტურგენევი ხშირად დადიოდა საჭადრაკო კაფეში და ეთამაშებოდა ჭადრაკის იმდროინდელ ვარსკვლავებს; მორფს, არნუ დე რივიერას, ლიაბურდონეს და სხვებს. ტურგენევი შეხვდა იტალიის იმდროინდელ ჩემპიონს დიუბუას, რომლისაგანაც მან მხოლოდ პაიკი და ერთი სვლა მიიღო წინასწარ. მართალია, ტურგენევმა ეს პარტია წააგო, მაგრამ, მოწინააღმდეგის მცირე უპირატესობით.

დიდ რუს რომანისტს ლ. ტოლსტოის ჭადრაკი უყვარდა, როგორც გონებრივი დასვენების საუკეთესო საშუალება. — „ჭადრაკი საუკეთესო გასართობია. — ამბობდა იგი. — შრომის შემდეგ, როცა მას ვთამაშობთ, — ვისვენებთ და გვავიწყდება ჩვენი ჭირ-ვარამი“. ტურგენევი ხშირად ეთამაშებოდა თავის მამულში სტუმრად მისულ კომპოზიტორს ტანეევს, მხატვარ რეპინს, სკულპტორ გინზბურგს და განსაკუთრებით ბევრს ხვდებოდა პიანისტ გოლდენვეიზერს, ამ უკანასკნელთან მან შვიდასზე მეტი პარტია ითამაშა.

არანაკლებ საინტერესოა დიდი სწავლულისა და ქიმიკოსის მენდელეევის დამოკიდებულება ჭადრაკთან. მისი მეუღლის გადმოცემით, დიდი სწავლული ძლიერ განიცდიდა ჭადრაკში მარცხსაც და წარმატებასაც. თამაშის დროს იგი ყოველთვის ღელავდა, ნერვიულობდა, ჯელებს უკანკალებდა, მაგრამ თამაშობდა საკმაოდ კარგად და ხშირად იგებდა კიდეც. მისი ერთ-ერთი მუდმივი პარტნიორთაგანი იყო ცნობილი რუსი მხატვარი პეიზაჟისტი ა. ი. კუინჯი.

საქართველოში ჭადრაკს დიდი ხანია იცნობენ და უყვართ. არაერთხელ უხსენებია ჭადრაკი თავის თხზულებებში მეფე პოეტ არჩილს („საქართველოს ზნეობანი“, „სიტყვა სანათლისღებო“) და სულხან-საბა ორბელიანს („წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“). მეფე-პოეტმა თეიმურაზ II თავის ერთ ლექსში ჭადრაკის იმდროინდელი ფიგურების სახელები და ტერმინებიც კი მოიხსენია.

ჭადრაკის მოყვარულ ქართველ მწერალთაგან ყურადღების ღირსია ნიკო ნიკოლაძე. მისი ქალიშვილის რუსუდანის გადმოცემით, მამამისი ხშირად იწვევდა შინ ჭადრაკის მოყვარულებს და საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მოჭადრაკეებსაც კი, რომლებთანაც ტურნირებს მართავდა.

ხშირად ხედავდნენ ჭადრაკის დაფასთან ჩვენს სასიქადულო აკაკისა და ილიას თბილისის სათავადაზნაურო კლუბში (ამჟამად ი. ჭავჭავაძის სახ. კლუბი).

საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი თბილისისა და ქუთაისის სალონებმა.

მ. ვადბოლსკი

## ეზოებში

ერკვევიან: სად ვსწავლობთ, სად ვცხოვრობთ... თანატოლებს სპორტის ცხელ-ცხელ ამბებს უყვებიან და, საერთოდ, სპორტის დიდ მცოდნეებად მოაქვთ თავი.

ერთხელ, დილომში წვრთნის დროს, ძლიერად დარტყმული ბურთი ღობეს გადასცდა და ქუჩაში გადავარდა. რამდენიმე ბავშვი უმალ გადაძვრა ღობეზე და თავქუდმოგლეჯილი გაედევნა ბურთს. თითქმის ერთდროულად მიაღწიეს პატარა ხრამამდე, სადაც ტალახში ამოსვრილი ბურთი გორავდა. ორიოდე წუთს იკინკლავეს: არა მე, არა მე უნდა წამოვიღოო. როგორც იქნა ერთმა იძალა და თამაშ-თამაშით მომირბენინა ბურთი.

გაიზარდე დიდი ბიჭი-მეთქი, — ვუთხარი. გმადლობთო, — მიპასუხა. მაგრამ ისე იყო აქოშინებული, რომ ეს ერთი სიტყვა ძლივს წარმოთქვა. სახეც მთლად გაფითრებული ქონდა. იმ დღეს ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და არც სერიოზულად დავფიქრებულვარ. მაგრამ ერთხელ ვიფიქრე, მოდი ვათამაშებ, ვნახავ რა ჩიტებიც არიან მეთქი. ბავშვებს დავუძახე და გავესაუბრე:

— გინდათ ამ ბურთით ითამაშოთ?

გაეხარდათ. იმ წამსვე გამოცვივდნენ მოედანზე, რამდენიმემ შარვალიც გაიხადა, ორად გაიყვნენ და თამაში გააჩაღეს. მე მსაჯობა ვიკისრე, მაგრამ ჩემი მოვალეობის შესრულება დიდხანს არ დამჭირვებია. ერთი ათიოდე წუთი ვუყურე მათ



და, უნდა გამოგიტყდეთ, ძალზე მეტკინა გული. საქმე იმაში კი არ არის, რომ ამ „ყოვლისმცოდნე“ გულშემატკივრებმა თურმე ფეხბურთის თამაშის ანა-ბანა არ იციან! არა, მე იმან გამაოცა, რომ თითქმის ყველა ისე უმწეოდ და სუსტად გამოიყურებოდა მოედანზე, თითქოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საწოლიდან წამოდგნენო. სწრაფად დაიღალნენ, ფერი დაკარგეს და რამდენიმე წუთში უკვე ძლივს დაათრევდნენ ფეხებს.

მე გულშემატკივრობის წინააღმდეგი როდი ვარ. მეც ვიყავი ბავშვობაში შეყვარებული ფეხბურთზე, ჩემი ხელით ვადგენდი ცხრილებს, არ ვტოვებდი გაზეთებში თუ ჟურნალებში სპორტზე დაწერილ არც ერთ სტრიქონს, მაგრამ ამავე დროს თვითონაც ვთამაშობდი. ვთამაშობდი ხშირად და ამას სწავლაში სრულიადაც არ შეუშლია ჩემთვის ხელი. განა არ შეიძლება გულშემატკივარი იყო, გულწრფელად გიყვარდეს სპორტი და სპორტის არც ერთ სახეში არ ვარჯიშობდე? მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში თბილისში ძალზე შემცირდა ფეხბურთის მოედნების რაოდენობა, მაგრამ სათამაშო მოედნები მაინც იმდენია, რომ ყველა ბავშვს შეუძლია იქ ბურთი ითამაშოს. ფეხბურთს რომ თავი დავანებოთ, განა ცოტაა სპორტის სხვა სახეები, რომლებიც აკაჟებენ, აწრთობენ ახალგაზრდის სხეულს? თუნდაც ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფრენბურთი, კალათბურთი... თითქმის ყველა სკოლაშია მათი სექციები, ყველა სტადიონზეა ბავშვთა სპეციალური ჯგუფები, სადაც მსურველთათვის კარი ყოველთვის ღიაა.

მაშ, რატომ მოხდა რომ სპორტის გულშემატკივრობით გატაცებული ბავშვები თვითონ სპორტის გარეშე დარჩნენ? ამაზე პასუხის გაცემა, ჩემის აზრით, არ უნდა იყოს ძნელი. ეს ბავშვები იმდენ დროს ანდომებენ გულშემატკივრობას, დარბიან სტადიონიდან სტადიონზე, კუდში დასდევენ ფეხბურთელებს, რომ თვითონ სავარჯიშო დრო აღარ რჩებათ.

ჩემი გულწრფელი რჩევაა: შეაღეთ სპორტული სექციებისა და სტადიონების კარი, ივარჯიშეთ სპორტის რომელიმე სახეში, თორემ მარტო გულშემატკივრობით შორს ვერ წახვალთ.

ნახ. ე. ამბოკაძისა.

## წიგნის თაროზე

### კოსტუმი მთვარის კვლევისათვის

ამერიკულმა ფირმამ შეიმუშავა კოსტუმი მომავალი კოსმონავტებისათვის, რომლებსაც მთვარეზე ასვლა მოუწევთ. კოსტუმი შედგება ცილინდრული ფორმის ალუმინის კაფსულისა და ზედა გუმბათისებური ნაწილისაგან, რომელსაც აქვს სარკმელი. ქვევით კოსტუმი მთავრდება დამცავი შარვლით. ასეთ სკაფანდრში კოსმონავტს ჭდომილა შეუძლია დასვენება, თანაც სკაფანდრი სპეციალურ სამფეხას ეყრდნობა. კოსტუმში არის რადიოაპარატურა, საჟანგბადო მოწყობილობა, სათანადო ბაერის შემქმნელი დანადგარები, ელექტროენერგიის წყაროები და განათების საშუალებანი, საჭმლის შესანახი ყუთები და ასე შემდეგ.



### დღევანდელი სერბერნარები

„ერთგული სერბერნარები“ — უზარმაზარი ბანჯგვლიანი ძაღლები, რომლებიც ალპებში, თოვლში გზადაბნეულ, ხიფათსგადაყრილ მგზავრებს შველოდნენ ხოლმე, დღეს მხოლოდ კეთილ მოგონებებს იწვევენ.

ტექნიკამ აქაც თქვა თავისი სიტყვა. სერბერნარები რადიოაპარატურამ შეცვალა. ყველა მგზავრი თუ ალპინისტი, რომელიც ზამთრობით მთაში მიემგზავრება, როგორც წესი თან ატარებს ჯიბის, უბრალო რადიოგადამცემს. თუ მგზავრს ან ალპინისტს რაიმე შეემთხვა, იგი სიგნალს იძლევა და მაშველი ბრიგადა, სპეციალური რადიომიმღების საშუალებით, როგორც აქ მოცემულ სურათზე ჩანს, იოლად მიაგნებს ხიფათში მოყოლილს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნაკადული“ ბეთაკაზ

### კოსმოსისაკენ

**გამოვიდა აკადემიკოს ევგენი ხარაძის მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნი „კოსმოსისაკენ“.**

ევგენი ხარაძე მსოფლიოში მოწინავე საბჭოთა ასტრო-ფიზიკური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

რაზე გვესაუბრება ავტორი ამ წიგნში?

ჩვენ მარად შევცქერით მზისა და მთვარის მოძრაობას, ვაკვირდებით დღე-ღამისა და წლის დროთა მონაცვლეობას, ამინდის ცვალებადობას და სხვ. მაგრამ ყველამ როდი იცის, სინამდვილეში რა მოვლენებია ეს. ევგენი ხარაძე სადა, ნათელი ენით, სრულიად გასაგებად განგვიმარტავს სამყაროს აგებულების, დედამიწის რაობის, მზის სისტემისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ადამიანს ოდითვე ურთიერთობა ჰქონდა ბუნებასთან, საუკუნეთა მანძილზე აგროვებდა ცოდნასა და გამოცდილებას და თაობიდან თაობას გადასცემდა. ძველად ადამიანი უმწეო იყო, რის გამოც ბუნების მრავალი მოვლენა ცრურწმენის ბურუსში იყო გახვეული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრმა მაშინდელმა სალმა დაკვირვებამ სათავე დაუდო მეცნიერების სხვადასხვა დარგს. ჩვენი საუკუნე კი ასტრონომიული მეცნიერების ზეიმის ხანად იქცა.

ევგ. ხარაძე სამყაროს აღწერას, ბუნებრივია, მშობლიური პლანეტით — დედამიწით იწყებს (მისი აღნაგობა,ზომები, წიაღი). ამ თავშივეა საუბარი ერთ მეტად არსებით საკითხზე, ესაა: მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

წიგნში ნაჩვენებია, რომ მიზიდულობის კანონი უდევს საფუძვლად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების მოძრაობას. მეცნიერი გვიხსნის თუ როგორ ხდება თანამგზავრების გაშვება. ესაა პრინციპი: თუ რაიმე სხეულს მივცემთ აუცილებელ სიჩქარეს (წამში 8 კმ.), მაშინ იგი დასძლევს დედამიწის მიზიდულობის ძალას და დაიწყებს დედამიწის გარშემო სრბოლას; და თუ უფრო მეტი სიჩქარით გავუშვებთ (წამში 11 კმ.), მაშინ იგი დედამიწას მიატოვებს და სხვა ციური სხეულის მიზიდულობის მორჩილი გახდება.

რა უახლოეს და შორეულ მიზნებს ისახავს ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური ხომალდების გაშვება? უპირველეს ყოვლისა, ატმოსფეროს შესწავლას. აქამდე მისი შესწავლა ხდებოდა დედამიწიდან დაკვირვების გზით; ახლა კი რაკეტებსა და თანამგზავრებს მის ყველა ფენაში, ყველა მიმართულებით აქვთ ზუსტი საზომი ხელსაწყოები და იქიდან მეცნიერული დასკვნებისათვის საჭირო მონაცემებს გზავნიან დედამიწაზე; უფრო შორეული მიზანი კი მთელი სამყაროს აგებულების საიდუმლოების გამოცნობაა.

ავტორი თანამიმდევრულად მოგვითხრობს მზის სისტემაზე, ბუნებრივ და ხელოვნურ თანამგზავრთა შორის განსხვავებაზე, ცთომილების განლაგებასა და აგებულებაზე.

საბჭოთა რაკეტის მეშვეობით მოხერხდა მთვარის ნაწილის ფოტოგრაფირება. დიდია მომავლის გეგმები: მთვარის წიაღისეულის შესწავლა, მთვარის გამოყენება ასტრონომიული სადგურების მოსაწყობად, მთვარიდან უფრო შორეულ სივრცეებში მძიმე კოსმოსური ხომალდების გაშვება და სხვ.

გამოთქმულია ვარაუდი ვენერასა და განსაკუთრებით მარსზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობის შესახებ. ადამიანის პირველი წარმატებითი ნაბიჯები კოსმოსში იმედს იძლევა, რომ ახლო მომავალში ასეთ კითხვებს პასუხი გაეცემა.

### ცხოვრება დავით კლდიაშვილისა

დიდი ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის ზეიმის დღეებში გამოიცა ცნობილი მწერლის სერგო კლდიაშვილის მოგონებები: „ცხოვრება დავით კლდიაშვილისა“.

მწერლის შემოქმედების გასაგებად აუცილებელია მისი ცხოვრების ცოდნა. მაგრამ რაა იმაზე კარგი, როცა ხელთა გაქვს ამგვარი წიგნი, დაწერილი მისივე შვილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი ჩვენი მეგობარი




წიგნი იწყება და მთავრდება დავითის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების მოგონებებით; შუაში კი მოთხრობილია სხვადასხვა დროის სხვადასხვა ამბები. პატარ-პატარა ეპიზოდებში თანმიმდევრობით ვეცნობით დიდი შემოქმედის კეთილშობილ ბუნებას, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების კეთილშობილ ბუნებას, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტებს, ვაკვირდებით მის მაღალადამიანურ სულს.

დავითი უკვე 67 წლისაა. ცხოვრობს მშობლიურ სიმონეთში, ავადმყოფობს, თბილისი კი ემზადება მისი იუბილესათვის. შეძლებს თუ არა იუბილეზე ჩასვლას? და შვილი მიდის მამის „გამოსაჯანსაღებლად“, რომ ეს შეაძლებინოს; მან იცის საამისო წამალი: საყვარელი წიგნები, ახალი ჟურნალ-გაზეთები, სასიამოვნო სტუმრები და საუბარი... სერგო კლდიაშვილი აღნიშნავს დიდი მწერლის ერთ იშვიათ ღირსებას: „დავითს ერთი თვისება ახასიათებდა: ჰქონდა ნიჭი იმისა, რომ გრძნობა და გონება გაეღვიძებია იმ ადამიანში, ვინც სხვათა აზრით, მოკლებული იყო ამ კაცურ ღირსებებს“.



ამ წიგნში მკითხველი გაეცნობა დავითის მამას, დავითის სიმამრს პავლე მაჭავარიანს, რომლის მრავალსტუმრიან ოჯახში უნახავს თავისი მხატვრული გმირების მსგავსი ადამიანები, ან გაუგონია მათ შესახებ. სერგო კლდიაშვილსაც ახსოვს და იგონებს ამასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საინტერესო ამბავს.

მოგონებაში მრავალი ცოცხალი სურათია დახატული, რომელიც დავითის სულიერ სამყაროს გვაცნობს. ს. კლდიაშვილი იგონებს მამასთან გატარებულ ბავშვობას ბათუმში, დავითის მეგობრობას ქართველ მწერლებთან. ყველა ეპიზოდი და ამბავი ისეთი უშუალობით და უბრალოებითაა გადმოცემული, თითქოს საკუთარი თვალით ხედავდე ყოველივეს.

სერგო კლდიაშვილის მშვენიერი წიგნი ფასდაუდებელი მოგონებებია სახელოვან მწერალზე, მოღვაწეზე და მამაზე.

## ანტარქტიდის დღიური




„ნაკადულის“ გამოცემებს შორის, მოგზაურ-მკვლევართა საინტერესო წიგნებსაც შევხვდებით. მათ შორის აღსანიშნავია ქართველი ჰიდროლოგის გ ა რ ს ე ვ ა ნ  კ უ რ დ ღ ე ლ ა ი ძ ი ს „ა ნ ტ ა რ ქ ტ ი დ ი ს  დ ღ ი უ რ ი“.

გ. კურდღელაიძის წიგნში საინტერესო ცნობებს ნახავთ ანტარქტიდის აღმოჩენისა და კვლევის ისტორიიდან, სკოტისა და ამუნდსენის ექსპედიციებზე, რუსი მეზღვაურების ფ. ბელინსჰაუზენისა და მ. ლაზარევის შესანიშნავი ექსპედიციის შესახებ. შემდეგში კვლევას უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა. ახლა გარსევან კურდღელაიძე გვიყვება მესამე გეოფიზიკურ წელთან დაკავშირებულ საბჭოთა ექსპედიციის ამბებს. 1957 წელს იგი ერთი წლით მიავლინეს ანტარქტიდაში. აი, იგი უკვე გზაშია, გემზე. ჩრდილოეთის ზღვა, ინგლისის სანაპიროები, გაშლილ ოკეანეში გასვლა, ნეპტუნის დღესასწაული ეკვატორზე, სამხრეთ აფრიკის კავშირი, პირველი აისბერგები — ოკეანეში მცურავი ყინულის მთები, ყინულოვანი ზღუდეების გადალახვა და ანტარქტიდა, სადგური „მირნი“.

გ. კურდღელაიძეს რამდენიმე დღით ბრაუნის მთაზე აგზავნიან. იქ სამნი მეტად მძიმე პირობებში აწარმოებენ გაზომვებს, დაკვირვებებს.

იგი ერთი წლის მანძილზე მეტეოროლოგად და გეოლოგად მუშაობს სადგურ „პიონერსკაიადან“ 400 კმ დაშორებით, 2700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. საინტერესოდაა მოთხრობილი იქ გატარებული დღეები. „ტემპერატურა მინუს 50°-ზე დაბლა დადიოდა, ქარი განუწყვეტლივ ქროდა, ცხვირზე და ლაწვებზე მოყინული კანი მრავალჯერ გადაგვძვრა, მაგრამ არავითარ სამუშაოზე უკან არ დაგვიხევიათ“, — შენიშნავს გ. კურდღელაიძე.

დღიურში რამდენიმე საინტერესო შემთხვევაა აღწერილი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, კერძოდ, მოთხრობილია საბჭოთა მფრინავ პეროვის მიერ ყინულებში დაკარგული ოთხი ბელგიელის გადარჩენის ამბავი.

ვალმოხდილი გ. კურდღელაიძე მდიდარი გამოცდილებით დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს.

ა. კაცაძე



# კურდღელი ყვავის ბუდეში

ანრი გეელკაირი

ტყის პირას, განმარტოებით იდგა ტანკენარი და ტოტებგაშლილი ნაძვის ხე. ამაყად გასცქეროდა მწვანე მინდვრებს, ეპატიჟებოდა ცხოველებს:

— ვის სურს გახდეს ჩემი მდგმური? — იკითხა ერთ დღეს ნაძვის ხემ.

— მე, — უთხრა კურდღელმა და ხის ძირში მოაწყო ბინა.

— მეც, — დაიძახა ყვავმა და ხის კენწეროზე გაიკეთა ბუდე.

ისინი მეგობრულად ცხოვრობდნენ. დედობრივი სიყვარულით ზრუნავდნენ თავიანთ ბავშვებზე და შეხვედრისას თავაზიანად ესალმებოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდათ: ისინი შურიანები იყვნენ.

— შენ კარგად ხარ მოწყობილი, — უთხრა ერთხელ კურდღელმა ყვავს და ცნობისმოყვარეობით შეაჳვალიერა მისი ბუდე, — ცა დაგნათის, მზე გიცინის და ქარი შენს ბავშვებს აკვანს ურწევს.

—რასაკვირველია, —მიუგო ყვავმა, — შენი ციხე-სიმაგრე ბევრად უკეთესია ჩემზე. შიმშილის დროს შენ შორს წასვლა არ გიწევს. გარეთ გამოსვლისთანავე შოულობ საკვებს და შენი სუფრა ყოველთვის ნაირ-ნაირი საჭმელებითაა სავსე.

ასე შურდათ ერთმანეთის ბედნიერება და თითოეულის სურვილი იყო ჰქონოდა ის, რაც მეორეს ჰქონდა.

— ეჰ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ბინის გაცვლა, კარგი იქნებოდა! — უთხრა ერთხელ კურდღელმა ყვავს.

ყვავმა არც კი აცალა კურდღელს სიტყვის დამთავრება, მაშინვე დაეთანხმა ბინის გაცვლაზე.

სიტყვა და საქმე ერთი იყო. გაცვალეს ბინები.

„რა სისულელეს ჩადიან" — შეშფოთდა ნაძვის ხე და შეარხია თავისი ტოტები. მაგრამ მდგმურებს არ ესმოდათ მისი.

ყვავი აფრინდა ზევით, თავის ბუდეში და სასწრაფოდ ჩამოიყვანა თავისი ბახალები კურდღლის ბინაში. არც კურდღელს დაუკარგავს დრო. მანაც მაშინვე აიყვანა თავისი ბაჭიები ყვავის ბუდეში. მთელი დღის წვალების შემდეგ მათ ბედნიერად იგრძნეს თავი ახალ ადგილსამყოფში, კმაყოფილებით და სიამაყით გასცქეროდნენ ირგვლივ არემარეს, წყნარად შრიალებდა ტყე. შორს, დაბურული ფიჭვების იქით, ჩაგორდა მზე თავის მოვარდისფრო საწოლში. მინდორში მხიარული ზუზუნი გაჰქონდათ ბუზებსა და კოღოებს. შებინდდა კიდეც. და აი, სახლების, ბოსლებისა და საბძლების უკან, ცის კაბადონზე ნელა ამოცურდა მთვარე.

კურდღელმა სასმელი მისცა ბაჭიებს და საჭმლის საშოვნელად ჩაცოცდა დაბლა, მიწაზე. აბა, ხის კენწეროებზე ხომ ვერ იშოვნიდა ბალახ-ბულახს.

ყვავი იჯდა კურდღლის ციხე-სიმაგრეში და მადიანად შეექცეოდა თაგუნას.

— მეზობელო, როგორ მოგწონს ახალი ბინა? — ჰკითხა ყვავმა კურდღელს.

— დიდებულია! — მიუგო მან, — შენ როგორღა მოგწონს?
— ჰკითხა ახლა კურდღელმა.

— კარგია. კარგი. — სწრაფად უპასუხა ყვავმა, — ოღონდ ჯერ ბარტყები უნდა მიეჩვიონ ახალ ბინას.

იმავე დროს ყვავი მიუბრუნდა თავის მტირალა ბახალებს დასაწყნარებლად, რომლებიც საშინლად ჩხაოდნენ.

პატარა ბაჭიებს ეძინათ. ვაიმე, ეს რა ანათებს მწვანედ ფიჭვებზე? კურდღელი დიდხანს ზვერავდა არემარეს. ძალზე შეეშინდა. უცბად ღამის მყუდროება ბუს ძახილმა დაარღვია.

კურდღელი შიშისაგან აკანკალდა. მაგრად მიეკრო თავის ბაჭიებს, თანაც ფიქრობდა: „რა სულელი ვარ, როგორ დავტოვე ჩემი ძველი ბინა, ჩემი ციხე-სიმაგრე. ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ არ ამოვსულიყავი აქ? ხვალ გათენებისთანავე უნდ ვთხოვო ყვავს, ბინის გაცვლა. თუ არ მოისურვა, მაშინ რა მეშველება?" —ასე ესაუბრებოდა იგი თავის თავს გვიან ღამემდე. ამ ფიქრებით დაღლილი და შეშინებული კურდღელი ღრმა ძილს მიეცა.

გარიჟრაჟზე ფრინველებმა გალობა დაიწყეს. გათენდა, ახალი დღე დაიწყო. აღარც ბუს ხმა ისმოდა.



შეშინებულმა კურდღელმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ბუდეს. ბუ აღარ ჩანდა, სადღაც გამქრალიყო. კურდღელი სწრაფად ჩამოცოცდა ხიდან და მეზობელთან მიირბინა. დაღონებული ყვავი კარებში იჯდა. სანამ კურდღელი რაიმეს ეტყოდა, მან თვითონ დაუწყო ხვეწნა.

— ნუ გამიწყრებით, მეზობელო, ჩემი ბახალები ვერ მიეჩვივნენ ახალ ადგილსამყოფელს. სიბნელე აშინებთ, მთელ ღამეს ფრთებს აფართხუნებდნენ და ჩხავილისაგან ხმა ჩაეხრინწათ.

კურდღელი სიხარულისაგან ცას ეწია, შეხტა და შეიკუნტრუშა: — მაშასადამე, შენ წინააღმდეგი არა ხარ ბინის გადაცვლაზე? მე კი ვშიშობდი, რომ, ვაი, თუ შენ არ დათანხმებულიყავი. ეჰ, ძვირფასო ყვავო! რომ იცოდე რამდენი რამ გადავიტანე წუხელის ღამით!

— მეც, მეც! — მიაძახა ყვავმა და მაშინვე შეფრინდა ციხე-სიმაგრეში თავისი ბახალების გამოსაყვანად.

კურდღელიც სწრაფად აცოცდა ხეზე და ჩამოიყვანა თავისი ბაჭიები. ორივე ოჯახმა ისევ ძველებურად დაიწყო ცხოვრება. ბაჭიებმა გაიხარეს, როდესაც კვლავ იხილეს თავისი ძველი ბინა. ყვავის ბახალების სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ამაყად ისხდნენ თავიანთ ბუდეში და გასცქეროდნენ არე-მარეს.

ამის შემდეგ ყვავი და კურდღელი კიდევ უფრო დამეგობრდნენ. ყველაფერს სიყვარულითა და ხალისით აკეთებდნენ და არასოდეს არაფერი შურდათ ერთმანეთისა.

გერმანულიდან თარგმნეს
ც. კოკილაშვილმა და
ნ. მოსიაშვილმა.
ნახ. გ. ფოცხიშვილისა






გიტარა

გავრცელებულია აზრი, თითქოს თანამედროვე გიტარის წინაპარი ძველბერძნული სიმებიანი საკრავი კიფარა იყო.

გიტარა ევროპაში, კერძოდ ესპანეთში, შუა საუკუნეებში გამოჩნდა, აქედან თანდათან აღმოსავლეთისაკენ წამოვიდა და იტალიის გზით რუსეთში მოაღწია. შემდეგ გიტარა კავკასიასა და შუა აზიაში გავრცელდა. მაგრამ, როგორც დღეს ირკვევა, კავკასიაში და შუა აზიაში ადრევე არსებულა მუსიკალური საკრავები, რომელთა სახელები ძალზე ჰგავს სიტყვა „გიტარას": თარ, თარა — აზერბაიჯანულში, თარი — ქართულში. დუტარ — შუა აზიის ენებში. თარი, დუტარი და გიტარა მართლაც ნათესავები არიან, ხოლო გიტარის ნამდვილი, დღეს დავიწყებული, სამშობლო აღმოსავლეთია. „თარი" სპარსულად სიმს ნიშნავს, ხოლო სიტყვა თარის წინდებულები ოდესღაც სიმთა რაოდენობას გამოხატავდა. მაგალითად „დუ" ნიშნავდა ორს. „სი" — სამს, ასე რომ, „სითარა" სამსიმიანს ნიშნავს. ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე, გიტარა აღმოსავლეთიდან საბერძნეთში მოხვედრილა, იქ, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაივიწყეს, რომ „სითარა" სამსიმიან საკრავს ნიშნავს და ასეთი სახის ოთხ და მრავალსიმიან სხვა საკრავებსაც სიტარა, შემდეგ კი გიტარა შეარქვეს.

შოფერი

დღეს სიტყვა „შოფერი" თანდათან იდევნება ხმარებიდან ახალი სიტყვით — მძღოლი, მაგრამ „შოფერი" ჯერ კიდევ ცოცხლობს.

ყველამ როდი იცის, რომ სიტყვა „შოფერი" ფრანგულად ცეცხლფარეშს ნიშნავს.

რაშია, საქმე, რატომ დაერქვა ავტომანქანის მძღოლს ასეთი უცნაური სახელი?

საქმე იმაშია, რომ ავტომობილი თავიდანვე ისეთი როდი იყო, როგორიც დღეს არის. XVII—XVIII საუკუნეებში დღევანდელი ავტომობილის წინაპარი ფეხის კუნთების ძალით თვით ადამიანს მოყავდა მოძრაობაში. უფრო მოგვიანებით შეიქმნა ორთქლის ურემი, რომელიც ავტომანქანის უახლოეს წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი მანქანის მართვა მაშინ არც ისე იოლი საქმე იყო. მძღოლს ჯერ ქურა უნდა აენთო. მოეხდინა ორთქლის რეგულირება, შეემოწმებინა წყლის დონე ქვაბში და განუწყვეტლივ ეზრუნა მის შევსებაზე, გაეწმინდა ცეცხლქურა. ასე, რომ, მაშინდელი ორთქლის მანქანის მძღოლი ფაქტიურად მეცეცხლური იყო.

ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ პირველი ავტომობილის მძღოლს ცეცხლფარეში, ფრანგულად „შოფერი" დაარქვეს. შემდეგ ეს სახელწოდება ბენზინისძრავიან ავტომანქანის მძღოლებზედაც გავრცელდა.




# მშრალი წვიმა

დედამიწის ზურგზე არსებობს ადგილები სადაც წვიმის დროს არაფერი არ სველდება, ე.ი. აქ წვიმაც კი მშრალია. ეს, ალბათ, ბევრ თქვენთაგანს წარმოუდგენელ მოვლენად მიაჩნია. მაგრამ მსოფლიოს მრავალ უდაბნოში და, მათ რიცხვში, საბჭოთა კავშირის შუა აზიის უდაბნოებშიც გვევლინება მშრალი წვიმა.

საქმე იმაშია, რომ უდაბნოების ჰავა კონტინენტურია, ჰაერი მეტად მშრალი. ღრუბლიანობა აქ იშვიათი მოვლენაა და წვიმაც იშვიათია. ხოლო, როდესაც წვიმა წამოვა, წვიმის წვეთები ჰაერშივე ორთქლდება და დედამიწამდე ვერ აღწევს. გასცქერით ჰაერში წვიმას, დგახართ მის ქვეშ და წვიმას ვერ გრძნობთ, — არ სველდებით; სწორედ ეს არის მშრალი წვიმა.

მ. კამკამიძე



## მაძაც ამას ჰქვია!

ამბობენ „მხეცური მადა აქვსო", მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა თუ ამის ნაცვლად ვიტყოდით „ზვიგენის მადა აქვსო". მართლაც, ზვიგენი სანსლავს ყველაფერს, რასაც ხელთ იგდებს, მათ შორის, საკუთარ შთამომავლობასაც.

ზვიგენი არაჩვეულებრივად სიცოცხლისუნარიანია. განცვიფრებას იწვევს, მაგრამ ფაქტია, რომ ზვიგენის თავმოკვეთილი სხეული ცოცხლობს რამდენიმე საათს და გულამოცლილიც, დროის გარკვეულ მანძილზე, განაგრძობს ცურვას.

ზვიგენს წესად არა აქვს შეეხოს მყვინთავს, სკაფანდრიანს, აკვალანგისტს ან უბრალოდ შიშვლად ჩაყურყუმალავებულს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფაქტები იშვიათია, სამაგიეროდ, იგი ყოველთვის თავს ესხმის ჩაძირული გემის მგზავრებს და, საერთოდ, წყლის ზედაპირზე მოცურავეებს. ერთხელ, ბაგამის კუნძულების პლიაჟზე ზვიგენი გამოჩნდა, იგი სანაპიროს წყალმარჩხზე იწვა, ხოლო, როცა მობანავე შემთხვევით მიუახლოვდა, მან ერთის მოსმით მოაგლიჯა ფეხი და კმაყოფილი გაუჩინარდა. მხოლოდ დიდი ხნის ნადირობის შემდეგ შეძლეს მისი დაჭერა.

ზვიგენი ყოველთვის მშიერია და, ალბათ, ამიტომაც ყლაპავს ყველაფერს განურჩევლად. კუჭიც საოცრად მაგარი აქვს, ხოლო ის, რისი მონელებაც მის კუჭს არ ძალუძს, ისევე რჩება მასში და არავითარ ზიანს არ აყენებს პატრონს.

ყველას, რა თქმა უნდა ახსოვს, როგორ აღმოაჩინეს „დუნკანის" მეზღვაურებმა ზვიგენის მუცელში შამპანურის ბოთლი ბარათით, რომელიც ზღვას ანდო კაპიტანმა გრანტმა მისი „ბრიტანიის" დაღუპვის წუთებში. ეს ფაქტი, რომელიც ჟიულ ვერნმა თავისი რომანის კვანძად აიღო, იყო სავსებით ჩვეულებრივი ამბავი იალქნიანი ფლოტის დროისათვის. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა რადიო, „ბოთლის ფოსტა" მეზღვაურებისთვის წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას, რომლითაც ისინი უკავშირდებოდნენ სამყაროს, ხოლო ზვიგენები ხშირად ასრულებდნენ დაუდევარი „ფოსტალიონების" როლს და ყლაპავდნენ ამ ბოთლებს.

დიდი ხანი არ არის, რაც პანამის ხომალდის ეკიპაჟმა დასავლეთ ატლანტიკაში შეიპყრო დიდი ზვიგენი, რომელიც თურმე მუცლით დაატარებდა შლამმოდებულ, მოლუსკის ნიჟარებითა და გაქვავებული ქვიშით დაფარულ, ძველთაძველ ბოთლს, რომლის შიგნით იდო ამერიკელი კაპიტნის ბარათი და ანდერძი მეუღლისადმი, დათარიღებული 1846 წლით. საბუთებიდან გამოირკვა, რომ ეს ვეშაპმჭერი გემი იყო კუნძულ ნანტაკე-



## ჩუხური იუმორი

მასწავლებელი: — სიცივეში ყველა მასალა იკუმშება, სითბოში კი ფართოვდება. დაასახელეთ მაგალითი.

მოსწავლე: — არდადეგები; ზაფხულში ორი თვით ხანგრძლივდება, ზამთარში კი ორ კვირამდე მცირდება, პატივცემულო მასწავლებელო!

—— რამდენჯერ გაგაფრთხილე, შვილო, რომ ოთოსთან არ მიხვიდე და არ ითამაშო-მეთქი. იგი უზრდელი და მოურიდებელი ბავშვია.

— ის თვითონ მოდის ჩემთან და თამაშობს. მე კი მორიდებული ზრდილობიანი ვარ, არა, დედიკო?!

მასწავლებელი: — ნოვაჩეკ, შენი საშინაო დავალება ძალიან კარგია, მაგრამ სიტყვა-სიტყვით სუხალოვას ნამუშევრის გამეორებაა. რა დასკვნა გავაკეთოთ აქედან?

ნოვაჩეკი: — ის, რომ სუხალოვას ნამუშევარიც ძალიან კარგია.

— მამა, პატარაობისას შენც ჩხუბობდი ხოლმე ბიჭებთან?

— მაშ როგორ!

— მერედა, ამ სიგრძე წვერებს არ გაწეწდნენ ბავშვები?



ტიდან და დაილუპა დიდი ბარიერის რიფთან (ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი).

წერილი და ანდერძი გადასცეს განსვენებული კაპიტნის შთამომავლებს, ხოლო შემდეგ იგი შეისყიდა მდიდარმა კოლექციონერმა ისეთ ფასებში, რომელიც აღემატებოდა კაპიტნის მთელ ავლა-დიდებას.

ბოთლების გარდა, ზვიგენის მუცელში პოულობდნენ ყოველგვარ ნივთებს: საფოსტო ამანათებს, კაკაოსა და ყავის ქილებს, ხორცისა და თევზეულის კონსერვებს, ოქროს მონეტებსა და ძვირფას სამკაულებს, ხუროს ხელსაწყოებს, სათვალეებს, ქვაბებს, მარჯნის ნამსხვრევებს, ხელისა და ჯიბის საათებს, ტანისამოსს, ლურსმნებს, შლიაპებს, წყალქვეშა ნავის ნამსხვრევებს, ცხენის ნალებს. ბალზამირებული მუმიის ნაშთებს. ნაპოვნი იქნა, აგრეთვე, პორტატული მანქანა ფურცლით, რომელზედაც ინგლისურად ეწერა: „ძვირფასო, შენთან ჩამოვალ პარასკევს“... ამ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოლონური ჟურნალი „მოდე“.

დასასრულს, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ — XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისური სამხედრო ხომალდის მიერ დაჭერილი ზვიგენის მუცელში იპოვეს კოლოფი საბუთებით, რომლის საშუალებითაც გაირკვა, რომ ელია მაკ-კორმიკი — იამაიკის მდიდარი ვაჭარი — განთქმული ზღვის მეკობრის გრეხემის თანამონაწილე ყოფილა. ამ საბუთების საფუძველზე სქელი ქისისა და ღვთისმოსაობისათვის პატივდებული ვაჭარი სახრჩობელაზე აიყვანეს.

ზვიგენს იჭერენ არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო. მისი ხორცისაგან ამზადებენ ტექნიკურ ზეთსა და ვიტამინის კომპონენტებს, მაგრამ მონადირეები, უწინარეს ყოვლისა, მაინც ფატრავენ მის მუცელს — ხომ არ აღმოჩნდება რაიმე სიურპრიზით.

— ჩვენს მასწავლებელს ყოველთვის ვერ დავეთანხმები, — თქვა პატარა იანმა, — გუშინ ამბობდა, ხუთს მივუმატოთ ხუთი ათიაო, დღეს კი გვიმტკიცებს — შვიდს მივუმატოთ სამი ასევე ათიაო...

მოსწავლეები წერდნენ საკონტროლო სამუშაოს: „სტუმრად ბებიასთან“. ყველაზე ადრე პატარა ირკამ ჩააბარა ნაწერი. ფურცელზე ეწერა: „ბებია შინ არ დამხვდა“.

— მაშ ისევ გტკივა კბილი, ხომ? — უთხრა მამამ ატირებულ შვილს, რომელიც ესესაა კბილის ექიმიდან დაბრუნდა.

— არა, მამიკო; იქ ექიმმა ტკივილი ამიკრძალა...

ჩეხურიდან თარგმნა
ალეკო კაკულიამ.

## ვინ რამდენს ჭამს



რაც უფრო დიდია ცხოველი მით უფრო მეტი საკვები ესაჭიროება მას. ეს ყველასათვის ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ზღვის უდიდესი ცხოველი, ვეშაპი, სხვებთან შედარებით ყველაზე მეტ საკვებს ნთქავს. ვეშაპები უმთავრესად მედუზებით, მოლუსკებით, წყალმცენარეებით იკვებებიან, მაგრამ ხანდახან არც მსხვილმანებზე ამბობენ უარს. ერთი თექვსმეტმეტრიანი ვეშაპის კუჭში აღმოაჩინეს ორი ნახევრად გადამუშავებული ზვიგენი. ერთ-ერთი მათგანის სიგრძე ორნახევარ მეტრს აღწევდა, ხოლო მეორისა — სამ მეტრს.

ზოოპარკის პირობებში მცხოვრები სპილოს ყოველდღიურ საკვებ ნორმად დადგენილია 30 კგ. ჭარხალი, 30 კგ. თივა, 10 კგ. სტაფილო, 8 კგ. პური, 5 კგ. მჟავე კომბოსტო, 2 კგ. ბურღული და 1 კგ. შაქარი. გარდა აქ ჩამოთვლილისა, სპილოს ყოველდღიურად ეძლევა არყის ხის ფოთლები, შვრია, ქატო, თევზის ქონი, საფუარი და სხვა მრავალი.

სპილოს შემდეგ, საკვების დიდ რაოდენობას ნთქავს ბეჰემოტი. მის ყოველდღიურ ულუფას შეადგენს: კარტოფილი, ძირნაყოფა, თივა, პური, შვრია, მუხუდო, ქატო, ზაფხულობით ახალი ბალახი. ბეჰემოტი დღეღამეში 50 კგ საკვებს ნთქავს

ლომთევზა ყოველდღიურად 20 კგ. თევზეულს მიირთმევს. ვეფხვი 8-10 კგ. ხორცსა და ძვლებს ახრამუნებს, სამაგიეროდ კვირაში ერთ დღეს ამარხულებენ. ამ დღეს მას მხოლოდ რძეს ასმევენ. ლომის ყოველდღიურ ულუფად დაწესებულია 7-8 კგ. ხორცი და ახალი მწვანილი. დადგენილია, აგრეთვე, მენიუ მაიმუნებისათვის. შიმპანზეს ეძლევა მოხარშული კარტოფილი, ბოსტნეული, თეთრი პური, ფაფა, ხილი, ხმიადი, კომბოსტო, კაკალი, მზესუმზირა, შაქარი, კარაქი, რძე, კვერცხები, საფუარი, კენკრა.



სირაქლემა ემუს სუფრა ოცი სხვადასხვა სახელწოდების კერძს ითვლის. და ასე, ზოოპარკის ყველა ცხოველს განსაზღვრული სუფრა აქვს. ყველა ზოოპარკს საკუთარი სამზარეულო ემსახურება, სამზარეულოში კი გამოცდილი მზარეულები და კულინარები ამზადებენ მრავალი სახის გემრიელ კერძებს; იკეპება ხორცი, მზადდება ტაფამწვარი, იხარშება კვერცხები, დუღდება რძე, მზადდება სხვადასხვა სახის ფაფა, წვენი, კომპოტი, კისელი; იჭრება და ნაწილდება პური, კარაქი, პამიდორი, კაკალი, ვაშლი, ფორთოხალი, ლიმონი. ერთი სიტყვით, ზოოპარკში 70 სხვადასხვა სახელწოდების ტონობით პროდუქტი იხარჯება ყოველდღიურად. როგორც ვხედავთ, ტყვეობის საკომპენსაციოდ ზოოპარკის მკვიდრნი საკმაოდ ბევრ საკვებს მიირთმევენ.

გ. ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## „მზის შვილი“

არსებობს ადამიანისათვის მეტად სასარგებლო ერთი მცენარე — ბალბასებრთა ოჯახის წარმომადგენელი. იგი მრავალწლიანი ბუჩქია და ტროპიკულ ქვეყნებში ძირითადად ამ სახითაა გავრცელებული. სხვა მხარეებსა და ჩვენში კი იგი მოჰყავთ, როგორც ერთწლიანი მცენარე.

ეს არის ბამბა.

თავისი სასარგებლო თვისებების გამო ბამბის მოშენება მრავალი ათასი წლის წინათ დაიწყო.

ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთში შეჭრილა, პირველად დაუნახავს ადგილობრივ მიწა-წყალზე გავრცელებული ბამბა, ფანჯრებსა და კარებზე ბამბის ფარდები. ჯარისკაცებისათვის უბრძანებია ამ მცენარის ფთილებით გაეტენათ ლეიბები, ბალიშები, მუთაქები და უნაგირები.

ბამბის პირვანდელი სამშობლო რომ ინდოეთია, ამ მოსაზრებას ჰეროდოტეც ადასტურებს: ინდოეთში არსებობს გარეული მცენარის ნაყოფი, რომლისგანაც ინდოელები ტანსაცმელს ამზადებენო.

492 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა ირანელთა მეფე ქსერქსე საბერძნეთს თავს დასხმია, თავისი არმიის ინდოელი მეომრები ბამბის ბოჭკოსაგან დამზადებული ტანსაცმელით ჰყოლია შემოსილი.

კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გამოირკვა, რომ ბამბას თურმე

## ისტორია, რომელიც ყოველდღე მეორდება

(ფელეტონი)



— მეჩქარება, ისტორია მაქვს სასწავლი, — თქვა ნუგზარმა, — გავიდა მეორე ოთახში, მაგრამ გაიხურა კარი და თითქმის იმ წამსვე გავიგონე მისი ხმა:

„— 1812 წელს საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ ბონაპარტემ გადმოლახა რუსეთის საზღვარი, გაიარა ლიტვა, ბელორუსია, დაიკავა სმოლენსკი...“

ბარე ოცი წელია, რაც სკოლა დავამთავრე, ისტორია ყოველთვის მიტაცებდა, გავიფიქრე, გავიხსენებ დავიწყებულ ამბებს-მეთქი, და ყური მივუგდე.

„— ნაპოლეონი უძლეველად თვლიდა თავს და რუსეთის არმიასთან გადამწყვეტი შერკინებისათვის ემზადებოდა. რუსეთის ჯარი მოსკოვის ახლოს, სოფელ ბოროდინოსთან განლაგდა...“

— ტრამ, ტრამ, ტა! ტარამ, ტარა-ტამ! ტრამ, ტრამ, ტა! — მომესმა უცებ ნუგზარის ხმა. ასეთმა მოულოდნელმა გადახვევამ ძალზე გამაოცა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ნუგზარი რუსეთის ჯარებს, ფეხბურთის მარშით აცილებდა ბოროდინოს ბრძოლისაკენ.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, მე კვლავ სმენად ვიქეცი.

— გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ ბოროდინოსთან უნდა მომხდარიყო, — განაგრძო ნუგზარმა, მაგრამ უცებ ფანჯრის ჭრიალი გავიგონე.

— რეზო, რეზო!

— სალამი, ნუგზარ, — მოისმა ეზოდან, — ჩამოდი!

— არა, არ შემიძლია, ისტორიას ვსწავლობ. ნაპოლეონი, კუტუზოვი, ხომ იცი... რა ჰქენით, მოიგეთ?

— წავაგეთ — 3:4. მეოთხეზე გავედით.

— მეოთხე ადგილი, ექვს გუნდში?!



ამის შემდეგ მთელი ოცი წუთი, ფანჯარაში გადამდგარი ნუგზარი ეზოში აყუდებულ ამხანაგს უმტკიცებდა, რომ „ცეესკამ“ „დინამოს“ იმ დღეს შემთხვევით მოუგო, რომ ჩოხელი „კლასნი“ დამცველია, ხოლო კოტრიკაძეს ბადალი არა ჰყავს მეკარეებში.

ბოლოს ფანჯარა დაიხურა და ნუგზარი კვლავ ისტორიის მორევში ჩაინთქა.

„1812 წელს ნაპოლეონ ბონაპარტემ გადმოლახა რუსეთის საზღვარი, გაიარა ლიტვა, ბელორუსია, დაიკავა სმოლენსკი... ნაპოლეონი უძლეველად თვლიდა თავს და რუსეთის არმიასთან გადამწყვეტი შერკინებისათვის ემზადებოდა. რუსეთის ჯარი მოსკოვის ახლოს, სოფელ... — ცუგა, ცუგა, საძაგელო, სად მიძვრები? აბა, მომხედე, ჩამომართვი ხელი! დაგავიწყდა! არა, ეს კი არა — მეორე, მეორე; თორემ... სადაა ჩემი ქამარი? აბა, სმენა! ასე, კარგია! ახლა გამომიწოდე მარჯვენა...



ნახევარ საათში მეზობლიანთ ცუგამ უკვე კარგად იცოდა უკანა ფეხებზე დგომა, ისიც ისწავლა, რომ მისალმების დროს სწორედ მარჯვენა თათის გაწოდებაა საჭირო, და ნუგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. ბამბა მოჰყავდათ ძველ პერუელებსაც, რასაც ამტკიცებს პერუსა და მექსიკაში აღმოჩენილი ბამბის ქსოვილის ნაშთები.

პლინი, რომის უდიდესი აგრონომი და მწერალი, ბამბის სამშობლოდ ეგვიპტესაც თვლიდა: ზემო ეგვიპტეში იზრდება ბუჩქი, რომლისაგანაც ქსოვილებს ამზადებენ და ის ქსოვილები სირბილითა და სითეთრითაა განთქმულიო.

ამრიგად, ბამბის მცენარის სხვადასხვა ჯიში წარმოშობილი ყოფილა ინდოეთში, ეგვიპტესა და ამერიკაში.

ბამბა ევროპაში XVII საუკუნეშიაც კი არ ყოფილა ცნობილი, ხოლო ჩვენში ევროპაზე გვიან შემოვიდა. პირველად ბამბა აბისინიიდან შემოიტანეს და ტა-




ჯიკეთში ეგრეთ წოდებული „ეგვიპტური კეთილშობილის“ ჯიში მოაშენეს. გავიდა დრო. ბამბის ამ ჯიშმა თავი ისახელა, შუა აზიიდან მოედო ყირიმს, შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებს, ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიას.

ბამბის მცენარეს ძლიერ უყვარს სითბო და სინათლე, მისი ფოთლები მზისკენაა მიმართული და დღის განმავლობაში ფერს იცვლის ხოლმე. ამიტომაც, ბამბას „მზის შვილს“ ეძახიან.

ბამბას თესავენ გაზაფხულზე, ჰყვავის აგვისტოში და დაახლოებით 60 დღის შემდეგ იძლევა მწიფე ნაყოფს, რომელშიც თოვლის ფიფქივით თეთრი და წმინდა ფთილებია მოთავსებული. ამ ფთილების ბოჭკოსაგან ვიღებთ ძაფს ქსოვილებისათვის, ელექტროსახვევებისათვის, ქიმიური ფილტრებისა და სხვა ტექნიკური საჭიროებისათვის.

ერთ კილოგრამ ბამბის ფთილას შეუძლია მოგვცეს: 20 მეტრი საპერანგე მიტკალი, ან 14 მეტრი კოლენკორი, ან 8 მეტრი საზეწრე ქსოვილი, ან 150 ცალი კოჭა ძაფი.

ბამბის თესლი იძლევა ზეთს და ჩენჩოს. ზეთს საკვებად და სხვა საჭიროებისათვის ვიყენებთ. მისგან მზადდება საპონი, გლიცერინი, მანქანის ღერძის საცხები და ა. შ.

თესლის ჩენჩოსაგან მიიღება სახვევი ქაღალდი, ნიადაგის სასუქი, ცხოველების საკვები ცხიმოვანი ფქვილი.

ბამბის ნაყოფისაგან მზადდება: პატრუქი, ხელოვნური ფეტრი, ტყავი, გამამხოლავებელი საგნები, ცელულოიდი, მინა, კინოფირი, თვითმფრინავებისა და ავტომანქანების ლაქსაღებავები, ქაღალდი, ლინოლეუმი, ხელოვნური აბრეშუმი, სხვადასხვა ფეთქებადი ნივთიერება (პიროქსილინი, დინამიტი, ნიტროგლიცერინი, დენთი და სხვ.).

ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხში“ ამ მცენარეზე ნათქვამია: „ბამბა მეფეა მრეწველობისა“. ამ თქმაში სინამდვილის მარცვალია. დღეს ჩვენშიც იტყვიან ხოლმე: ბამბა ისეთივე დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, როგორსაც პური, საწვავი და ლითონი.

ა. ნემსაძე

ზარმაც სული მოითქვა. წყალი დალია და წიგნს დაუბრუნდა.

კვლავ მომესმა უკვე გაზეპირებული სიტყვები:

„1812 წელს ნაპოლეონ ბონაპარტემ გადმოლახა რუსეთის საზღვარი, გაიარა ლიტვა, ბელორუსია, დაიკავა სმოლენსკი. ნაპოლეონი უძლეველად თვლიდა თავს და...“

ბოროდინოს ველზე ჯერ ერთი თოფიც კი არ გავარდნილიყო, რომ ნუგზარის ოთახიდან ჰარი ბელაფონტეს ნაცნობი ხმა გავიგონე. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ცეკვავდა თუ არა ნუგზარი, მაგრამ ჩარლსტონის მსგავსი რაღაც რიტმული ფეხისცემა მესმოდა.

ისე დაღამდა იმ დღეს, რომ მე ვერა და ვერ გავიგე, ბოლოს და ბოლოს როგორ დამთავრდა ეს გრანდიოზული ბრძოლა ბოროდინოს ველზე. ვერ გაიგო ამის შესახებ მეორე დღეს ისტორიის მასწავლებელმაც. ხოლო რა შემდეგი მოჰყვებოდა ყოველივე ამას, თქვენ თვითონაც კარგად მიხვდებით!

ზურაბ ლეჟავა შელი



## სიცოცხლის ხანგრძლივობა

ხშირად გაიგონებთ ძველად ადამიანები ბევრად ღონიერი და ჯანმრთელები იყვნენ ვიდრე დღეს და მეტ ხანსაც ცოცხლობდნენო.

ეს მოსაზრება მცდარია. ამას აქ მოყვანილი ციფრებიდანაც კარგად დაინახავთ. ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ძველ რომში 29-30 წელს აღწევდა. შუა საუკუნეებში ეს ციფრი 35-მდე გაიზარდა. XVIII საუკუნეში სიცოცხლის ხანგრძლიობა უკვე 36 წელი იყო. XIX საუკუნის დასაწყისში — 40. 1920 წელს — 55, 1935 წელს — 60, 1952 წელს — 68,5. ეს ციფრები მართლაც გაოცებას იწვევს, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყველა ჩვენგანი აუცილებლად 68,5 წელს იცოცხლებს. ცხადია, არა. ეს მხოლოდ საშუალო მონაცემებია.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის ასეთი მკვეთრი ზრდა უპირველეს ყოვლისა, ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირების ბრალია. ასე მაგალითად, 1897 წელს მცირეწლოვან ასაკში ასიდან ორმოცი ბავშვი იხოცებოდა, 1900 წელს — 23, 1932 წელს კი მხოლოდ — 4. მედიცინისა და ჰიგიენის პროგრესმა ისეთი ავადმყოფობანი, როგორიც არის ტუბერკულოზი, ფილტვების ანთება, გრიპი, რომლებიც წინათ განუკურნებლად ითვლებოდა, ახლა უვნებელი გახადა.

დღეს ადამიანის სიცოცხლის ინდივიდუალური ხანგრძლიობაც მკვეთრად გაიზარდა. ასე მაგალითად, ამერიკაში 1887 წელს 65 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანები მოსახლეობის მხოლოდ 3,1 პროცენტს შეადგენდა, 1940 წელს — 6,9 პროცენტს, 1950 წელს კი — 8,2 პროცენტს. სიცოცხლის ხანგრძლიობა საბჭოთა კავშირში განუზომლად დიდია ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

დღეს ბევრი საშუალება არსებობს სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე კარგი წამალი ნორმალური ცხოვრებაა, დღის რეჟიმი, საკმაო ძილი, ფიზიკური ვარჯიში, თამბაქოს წევის აკრძალვა, რაც ყველა წამალზე უფრო ახანგრძლივებს სიცოცხლეს.

სიცოცხლის ხანგრძლივობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა მოთხრობები



ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲪᲘᲤᲔᲠᲝᲕᲘ




საერთოდ ბევრი რამის ახსნა შეიძლება:

შეიძლება ავხსნათ, თუ რატომ თენდება.

შეიძლება ავსხნათ, თუ რატომ ღამდება.

მაგრამ ის როგორღა ავხსნათ, რომ მე ძალიან მიყვარს მუსიკა?

როდესაც მუსიკას ვუსმენ, ასე მგონია, რომ ქარი უსტვენს, წვიმა შხუის და ჩიტები გალობენ.

რატომ მომწონს ქარის სტვენა, წვიმის შხუილი და ჩიტების გალობა? ამის ახსნა ძნელია. მომწონს და ეს არის.

ამას წინათ ჩვენს კლასში ერთი ბიჭი დიდხანს გვიხსნიდა, თუ რატომ უყვარს მას ხეები. შემდეგში გავიგე: რომ ამ ბიჭს სულაც არ უყვარდა ხეები. ამის შესახებ იგი ლაპარაკობდა მხოლოდ იმისათვის, რომ კარგი ნიშანი მიეღო.

სავალალოა, როდესაც რაიმე უყვართ მხოლოდ ნიშანისათვის. დღეს კარგი ნიშანი გაქვს, ხვალ კი წახვალ სკოლიდან და ნიშნებიც გაქრებიან.

რაღა ეყვარებათ მაშინ ასეთ ბავშვებს?

თვითონაც არ იციან.

მე კი ვიცი, რომ მეყვარება ქარი, წვიმა, ჩიტები და მუსიკა, რატომ? იმიტომ რომ მომწონს?

მომწონს და ეს არის.




გუშინ მე ერთ ძალიან სერიოზულ ბიჭთან ერთად ვხატავდი მთვარეს. ხატვის შემდეგ მან მითხრა: იცი, ეს მწვანე მთვარე ვიღაცის მწვანე შლიაპის სარქველს მაგონებს.

— არაფერიც! — ვუპასუხე მე.— ეს მწვანე მთვარე მწვანე ყურსა გავს. აი, მაგალითად. მზეს რომ უეცრად ყურები გამოიბას. ისინი აუცილებლად ასეთივე დიდები და მწვანე ფერისანი იქნებოდნენ.

ბიჭი შეიჭმუხნა. იგი ძალზე სერიოზული იყო და ძნელი იყო დაეჯერებინა თითქოს ყვითელ მზეს, შეიძლება მწვანე ყურები ჰქონდეს.

მე კი ამის გამო საშინლად მოვიწყინე.

განა შეიძლება ბოლოს და ბოლოს ყოველთვის ასეთი სერიოზული იყო? ნუთუ გაღიმებაც კი არ შეიძლება? აი, ზოგჯერ უფროსებიც, სასტიკი ადამიანებიც კი იღიმებიან და ეს ხომ სრულიად ბავშვია! მაშ, რატომ არ უნდა იღიმებოდეს?

თარგმნა

ა. ჭანიაშვილმა

## ფერადი ფოტოგრაფია

თანამედროვე ფერადი ფოტოგრაფია ემყარება ფერების შერევის სუბრტაქტულ (გამოკლების) მეთოდს, სამფენიანი ფერადი ფოტოფირისა და ფოტოქაღალდის გამოყენებით.

ფერადი ფოტოგრაფიის მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებაში არსებული ფერადი საგნებიდან არეკლილი სხივების გამჟღავნების შედეგად მიიღება სამფენიანი ფერგაყოფილი ნეგატივი. ასე, მაგალითად, თუ ფერად ფოტოფირზე დაეცა წითელი ფერის სხივი, ნეგატივში წარმოიქმნება მისი შესაბამისი დამატებითი — ცისფერი, ლურჯის მაგიერ წარმოიქმნება მისი შესაბამისი ყვითელი, და ასე შემდეგ.

ფერადი ნეგატივიდან ფერადი ფოტოსურათის დაბეჭდვა წარმოებს სამფენიან ფერად ფოტოქაღალდზე.

ფერად ფოტოფირზე გადაღება წარმოებს ჩვეულებრივად, მხოლოდ შუქფილტრების გარეშე.

გადაღების შემდეგ ფოტოფირის გამომჟღავნება უნდა ვაწარმოოთ სპეციალური შემადგენლობის ფერად გასამჟღავნებელში და გამჟღავნების დროს ზუსტად უნდა დავიცვათ ფერადი მჟღავნების ტექნოლოგიური პროცესი.

ფერადი ნეგატივის გამჟღავნების მთლიან ტექნოლოგიურ პროცესს სჭირდება 2 საათი და 5 წუთი.

ფერადი ნეგატივის გამჟღავნებისათვის იხმარება მხოლოდ სპეციალური შემადგენლობის სამჟღავნებელი, რომლის რეცეპტიც აქვე მოგვყავს:

### 1. ფერადი სამჟღავნებელი ხსნარი

ა.

| | |
|---|---|
| 1. ჰიდროქსილამინი (ც-ნნ) | 1,2 გრამი |
| 2) დიეთილპარაფენილენდიამინსულფატი (ტსს) | 2,75 გრამი |
| 3. გამოხდილი წყალი | 0,5 ლიტრი |

ბ.

| | |
|---|---|
| 1. პოტაში (ნახშირმჟავა კალიუმი) | 75 გრამი |
| 2. ნატრიუმის სულფიტი უწყლო | 2 „ |
| 3. კალიუმის ბრომიდი . . . | 2,5 „ |
| 4. გამოხდილი წყალი | 0,5 ლიტრი |

### 2. გამათეთრებელი ხსნარი

| | |
|---|---|
| 1. სისხლის წითელი მარილი | 50 გრამი |
| 2. ნატრიუმის ქლორიდი (სუფრის მარილი) | 50 „ |
| 3. წყალი | 1 ლიტრი |

### 3. სამაგრი ხსნარი

| | |
|---|---|
| 1. ჰიპოსულფიტი (ნატრიუმის ტიოსულფატი) | 200 გრამი |
| 2. წყალი | 1 ლიტრი |

ფერადი ნეგატივიდან ფერადი ფოტოსურათის დაბეჭდვა წარმოებს ფერად საპოზიტივო ფოტოქაღალდზე ჩვეულებრივი ფოტოგამადიდებლის საშუალებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფერების სრულყოფილად მიღების მიზნით იყენებენ ძლიერი გამოსხივების ფოტონათურებს.

გრ. ჯოჯუა



ფოტომოყვარულთა დასახმარებლად

დღეს არავის აკვირვებს, რომ მანქანა თამაშობს ჭადრაკს. მაგრამ, ერთ დროს, მსგავს მოვლენაზე ლაპარაკი ფანტაზიად მიაჩნდათ.

ჭადრაკის მოთამაშე მანქანა პირველად უნგრელმა მექანიკოსმა კემპელენმა გამოიგონა და 1769 წელს იგი, თურქულ ტანსაცმელში გამოწყობილმა, ქალაქ ვენის მკვიდრთ აჩვენა. ავტომატურმა მანქანამ არნახული გამოხმაურება ჰპოვა. იგი ადვილად ამარცხებდა ძლიერ მოჭადრაკეებსაც.

კემპელენის მანქანის ნახვა ბევრმა ქვეყანამ მოიწადინა. ამიტომ გაქნილი საქმოსანი ესტუმრა რუსეთს, პოლონეთს, საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს. რუსეთში ავტომატს ეთამაშა დედოფალი ეკატერინე მეორე, რომელიც საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე იყო, მაგრამ ვერაფერს გახდა მანქანასთან. ანდა რას გახდებოდა!

კემპელენის ავტომატი გარეგნულად წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილ ყუთს. მას უჯდა თოჯინა აღმოსავლურად ჩაცმულ-დახურული. ყუთის შიგნით განლაგებული იყო მექანიზმი, რომელიც საათის მოწყობილობას მოგაგონებდათ. ამ მექანიზმის გვერდით მოთავსებული იყო ადამიანი, რომელიც არ ჩანდა მაშინაც კი, როცა კარებს გააღებდით. კემპელენს იგი გონებამახვილურად ჰყავდა გაუჩინარებული სარკეების დახმარებით.

ბევრჯერ სცადეს ფარდა აეხადად ამ მანქანის საიდუმლოებისათვის მაგრამ ვერ შესძლეს. კემპელენი მარტო არასდროს არ ტოვებდა თავის პირმშოს. მხოლოდ 1834 წელს გამოაშკარავდა ავტომატის საიდუმლოება. როცა მისი გამომგონებელი აღარ იყო ცოცხალი. მანქანა ხელიდან ხელში გადადიოდა. 1854 წელს იგი მოხვდა ფილადელფიის (ამერიკის შეერთებული შტატები) მუზეუმში, სადაც ხანძრის დროს დაიწვა.

ჭადრაკი არ არის მექანიკური თამაში. მას აუცილებლად ესაჭიროება „ტვინი", მოსაზრებულობა. მანქანას კი, ამ უსულო ქმნილებას, არ გააჩნია აზრი, მსჯელობის უნარი. მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ მაინც „აამეტყველა" იგი. ამჟამად გამოგონებულია ელექტროგამომთვლელი მანქანები, რომლებიც ელვის უსწრაფესად ხსნიან მათემატიკურ ამოცანებს. ასეთი მანქანები თარგმნიან წიგნებს, კითხულობენ საიდუმლოების ბურუსით მოცულ ძველ ხელნაწერებს, თამაშობენ ჭადრაკს.

დახედეთ ამ ამოცანას.



იგი ელექტრო-გამომთვლელმა ამოხსნა 18 წუთში (სცადეთ, შესაძლოა თქვენ ამოხსნათ უფრო ნაკლებ დროში?) სხვათაშორის, ამ მანქანას გროსმაისტერი ვ. სმისლოვი ეთამაშა, მართალია, გროსმაისტერმა პარტია მოიგო, მაგრამ დარწმუნდა, რომ შეიძლება მანქანამ კარგად ითამაშოს ჭადრაკი.

# მანქანა თამაშობს ჭადრაკს

დიდი მოჭადრაკები ამ საკითხზე სხვადასხვასგვარად ფიქრობენ. ასე მაგალითად: მ. ტალს მიაჩნია, რომ შეუძლებელია შეიქმნას მანქანა მოჭადრაკე. მ. ბოტვინიკი, პირიქით, ამტკიცებს, რომ უკვე არსებული ელექტროგამომთვლელი მანქანები ძლიერად ითამაშებენ, თუ მათ აღვჭურავთ სათანადო თეორიული ცოდნით. მსოფლიო ჩემპიონმა პრაქტიკულადაც განახორციელა თავისი წინადადება და გასაოცარი შედეგები მიიღო, — მანქანამ შეცვალა მწვრთნელი. ბოტვინიკი მანქანას ავალებდა „შეემოწმებინა" ესა თუ ის სადებიუტო ვარიანტი. მანქანა მორჩილად და პირნათლად ასრულებდა დავალებას და სწორ პასუხს იძლეოდა. ამიტომ მ. ბოტვინიკი დაასკვნის, რომ შემდეგში, როცა მანქანები უფრო დაიხვეწებიან, შეიძლება გროსმაისტერმაც კი აიყვანოს „მწვრთნელად" უტყვი მანქანა.

იკითხავთ: ხომ არ შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ჭადრაკის მოთამაშე მანქანა? შეიძლება. მაგრამ იგი მოცულობით მოსკოვის ახალი უნივერსიტეტის ოდენა იქნება. ამიტომ დღეისათვის ჭადრაკს „თამაშობს" ჩვეულებრივი მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტაში დამხმარე მანქანა.

ალბათ გაინტერესებთ, როგორ „აზროვნებს" მანქანა. ეს მეტად რთული ამბავია. დაახლოებით შეიძლება ავხსნათ ასე: მანქანის „ტვინს" ცოდნას აწვდის მოჭადრაკე, რასაც შემდეგ მანქანა მექანიკურად იყენებს პრაქტიკაში.

შეიძლება დაგებადოთ კითხვა: თუ მანქანამ ითამაშა ჭადრაკი, მაშინ ხომ მოჭადრაკეები აღარ იქნებიან საჭირო? არა, ასეთი დრო არასოდეს არ იქნება. მანქანას საჭადრაკო „განათლებას" ხომ მოჭადრაკე აძლევს, მაშასადამე, მანქანა გროსმაისტერზე უკეთესად ვერასოდეს ვერ ითამაშებს. მანქანას, მართალია, შესანიშნავი „მეხსიერება", აქვს, მაგრამ სრულებით არ გააჩნია შემოქმედებითი უნარი. მანქანას ძლიერი თამაში შეუძლია მხოლოდ მიღებული „ცოდნის" ფარგლებში.

— დადგება დრო, — ამბობს მ. ბოტვინიკი, — როცა მანქანები შეეჭიდებიან ოსტატებს. მათთან ბრძოლა არც თუ ისე ადვილი იქნება, მანქანას უკეთესი „მეხსიერება" აქვს. გულგრილია დარბაზში ხმაურისადმი. მოვა დრო, როცა მანქანებსაც მიანიჭებენ გროსმაისტერის წოდებას და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია მოუწყევს მსოფლიო პირველობის გამართვა მანქანებისათვისაც.

ახლაც მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა — შეისწავლონ მოჭადრაკის აზროვნების პროცესი და მის საფუძველზე შექმნან „მოჭადრაკე" მანქანები.

ო, გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიდან წარმოდგა ეს სახელწოდებები?

## ორბეთი—სამშვილდე

ორბეთი ანუ სამშვილდე სამხრეთ საქართველოში ციხე-ქალაქი იყო. „ვახუშტი წერს: „არის ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე". მეცნიერი არ გვაძლევს ახსნას არც ორბეთის და არც სამშვილდის წარმოშობაზე. ერთი ცხადია, რომ სამშვილდის პირველი სახელი ორბეთი იყო. შემდეგ ეს სახელი სამშვილდედ შეცვლილა.

ადგილი, სადაც სამშვილდეა, მართლაც ორბების საბუდარს ჰგავს. ხალხმა ამ ადგილს ორბეთი, ესე იგი ორბების საბუდარი უწოდა. აქ შემდეგ მაღალ ადგილს ციხე-ქალაქი გაშენდა, სადაც ძველადვე სამხედრო საჭურველს აკეთებდნენ. რკინის საბადოები აქ ახლო იყო. ორბეთმა სახელი გაითქვა, როგორც მშვილდების მკეთებელმა ქალაქმა და ამიტომაც ხალხმა მას სამშვილდე დაარქვა და ეს სახელწოდება დაუტოვა შთამომავლობას.



## შურის ციხე

თბილისში არსებულ ციხეს, რომელიც ქალაქს მაღლიდან გადმოსცქერის, შურის ციხეს უწოდებს ხალხი. ეს ციხე მესამე მეოთხე საუკუნეში, მეფე ვარაზ-ბაკურის დროს აუშენებიათ. საბოლოოდ დაუსრულებია ვახტანგ გორგასალის შვილს დაჩის... ვახუშტი ბაგრატიონი ამაზე წერს: „მეფის ვარაზ-ბაკურის ჟამსა აღაშენა შურის ციხე მცხეთისათვის ერისთავმან, შემდგომად გორგასალ, დადვა საფუძველი დაჩიმ".

ხალხის წარმოდგენით, ეს ციხე გასცქეროდა დიდებულ მეტეხს, როგორც ჩანს. სწორედ ამიტომ უწოდა ხალხმა მას შურის ციხე და ეს სახელწოდება დღემდეა შემორჩენილი.



## მაშავერა

მაშავერა მდინარის სახელია, რომელიც ქვემო ქართლში, დმანისის ხეობაში მიედინება და მდინარე ქციას უერთდება. იმის გამო, რომ იგი მდინარე ქციას უერთდება და შიგ ერევა, ხალხმა მას „შავერიე" უწოდა. ვახუშტი ბაგრატიონი სწორად ხსნის ამ სახელწოდების წარმოშობას. იგი წერს: „ყარალაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ, კერძ დაბანისის ხეობა და მდინარე მაშავერა. მდინარე მის შორის ხოლო ეწოდა ქციის რთვისათვის: „მა შავერიე" და აწ მაშავერად წოდებული".

შემდეგ ხალხმა ეს სახელი უფრო დახვეწა და დღეს იგი მაშავერად გამოითქმის.

ვ. სიდამონიძე



## იცით თუ არა რომ...

.... ჭინჭარი სუსხავს მის ბუსუსებში არსებული მჟამიანი სითხით. ჭინჭრის მჟამის ზუსტი შემადგენლობა ჯერ კიდევ უცნობია.

...მზე და მთვარე ზენიტში პატარები მოჩანან, ხოლო ჰორიზონტზე — დიდები. მაგრამ ეს მხოლოდ მხედველობითი შეცდომაა. როგორც ზენიტში და ისე ჰორიზონტზე გადაღებულ ფოტოსურათებში მზისა და მთვარის ზომები ერთი და იგივეა.

...გეოლოგების წინაშე დგას ხუთი გადაუწყვეტელი პრობლემა: როგორი აღნაგობისაა დედამიწის ქერქის ფენები 40-50 კმ. სიღრმეზე; რატომაა, რომ დედამიწის ქერქის ზოგიერთი ნაწილი ნელ-ნელა იწევს მაღლა, ხოლო სხვა ნაწილები დაბლა; როგორ წარმოიშობა დედამიწის ქერქში ნაოჭები; საიდან ჩნდება ხოლმე მაგმა; მატერიკები მოძრაობენ თუ მტკიცედ დგანან ერთ ადგილზე?

...ეგვიპტეში შინაური კატები წმიდა ცხოველებად ითვლებოდნენ. ამის შედეგად ძველი ეგვიპტე ნამდვილი „კატების სამეფო" იყო. ეგვიპტეში კატა გამოჩნდა მეორე ათასწლეულში ჩვენს ერამდე.

...კუნძულ იავაზე მდებარეობს „ქუხილის პოლუსი", სადაც წელიწადში 800-ჯერ იცის ჭექა-ქუხილი. ქალაქ სანტა მარიაში (კალიფორნიის შტატი) კი ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ თუ დაიქუხებს ცა.

...ჭოტს შეუძლია 180 გრადუსით მოაბრუნოს თავი.

...ადამიანის თვალი 150 სხვადასხვა ფერს არჩევს, ხოლო სპეციალური ვარჯიშის შემდეგ 100 ათასზე მეტსაც გაარჩევს.

...თითოეული ატომის დიამეტრი რომ 0,1 მილიმეტრი გახდეს, მაშინ ქვიშის მარცვალი ასმეტრიან კლდედ გადაიქცეოდა, ჭიანჭველა საოკეანო გემის ოდენა გაიზრდებოდა, სეტყვის კაკალი იქნებოდა ყინული ბურთი, რომლის დიამეტრი ნახევარ კილომეტრს შეადგენდა, ადამიანის სიმაღლე კი 170 კილომეტრს მიაღწევდა.

...იხტიოლოგებმა მრავალი ცდის შემდეგ დაადგინეს, რომ ზვიგენს ყველაზე მეტად უეცრად გაშლილი ჭრელი ქოლგისა ეშინია.

...ულტრაბგერები შინაურ ფრინველსა და პირუტყვს ვნებას აყენებს. ულტრაბგერების მოქმედების შედეგად ქათმები კვერცხის დებას წყვეტენ, ხოლო ძროხებს ნაყოფი წყდებათ.

...პოლარულ მელიებს გაცილებით პატარა ყურები აქვთ, ხოლო აფრიკულ მელიებს უფრო დიდი, ვიდრე ზომიერ ჰავაში მცხოვრებ მელიებს. ეს იმით აიხსნება, რომ მელიის ყურები სხეულს სითბოს ართმევენ.

...მეცნიერების მონაცემებით, დინოზავრები, პლეზიოზავრები და მასტოდონტები ავადდებოდნენ რევმატიზმით, ტუბერკულოზით, სიმსივნით და სხვა სნეულებებით.

...ერთ წყვილ ვირთხას სამი წლის განმავლობაში შეუძლია 20 მილიონი შთამომავალი გააჩინოს. ოც მილიონ ვირთხას შეუძლია ერთ დღეში 1000 ტონა საკვები შეჭამოს. საერთოდ, ვირთხა დღეში თავისი წონის მესამედს ჭამს.

...ვარანები — ყველაზე დიდი ზომის ხვლიკები არიან. ზოგიერთი მათგანის სიგრძე სამ მეტრს აღწევს. ჭამენ ყველაფერს, რასაც კი წააწყდებიან, ზოგჯერ პატარა ანტილოპებსა და ღორებსაც კი სანსლავენ.

...სპილო მშვენივრად ცურავს, შეუძლია გადაცუროს განიერი მდინარე. შეუძლია ჩაყურყუმელავდეს ისე, რომ წყლიდან მხოლოდ ხორთუმი ქონდეს ამოშვერილი. სპილო ძალზე სწრაფი ცხოველია — საათში 20 კილომეტრს გარბის, მარჯვედ ადის ციცაბო მთაზეც.

# მოკლედ ყველაფერზე

## თევზი... ჭაში

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფერმერი, გვარად ბოიზენი, არასოდეს არ მისდევდა მეთევზეობას. მისი ფერმა ზღვიდან 650 კილომეტრზე მდებარეობს. ხოლო უახლოეს მდინარიდან რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული.

წარმოიდგინეთ ბოიზენის გაოცება, როცა ახალგათხრილ ჭიდან წყლის ამოღებისას მის ვედროს ცოცხალი თევზი ამოჰყვა!

აღმოჩნდა, რომ თურმე ფერმის ქვეშ მიედინება მიწისქვეშა მდინარე და ახალმა ჭამ თევზისათვის „სარკმლის" მაგივრობა გასწია.



## ცოცხალი ფარანი

სახლის შესასვლელთან გოგრა ჰკიდია. შებინდდა თუ არა, გოგრა აინთო. აი, საოცრება!

გოგრა, ცხადია, არ ანათებს. სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლები თავის შესაქცევად მას „ციცინათელა ბუზებით" ავსებენ. ეს „ციცინათელა ბუზები" ხოჭოები — კუსუხანო და კოკუიო. ისინი ღამის სიბნელეში ჯადოქრულ მომწვანო შუქს ასხივებენ.

ორიგინალური ცოცხალი ფარანი დილამდე ანთია.

## მაგნიტოფონი ეხმარება გეოლოგებს

ჩვენს დროში მიწის წიაღის აგებულების შესწავლა მიწისქვეშა აფეთქებებით ხდება. (ანგარიშობენ თუ რა სისწრაფით გაივლის აფეთქების ტალღა ამა თუ იმ ქანს, სიზუსტისათვის აფეთქებები მრავალჯერ მეორდება ხოლმე.



ამასწინათ უნგრელმა გეოფიზიკოსებმა შექმნეს აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა მხოლოდ ერთი აფეთქებით განისაზღვროს წიაღის შემადგენლობა. ამ ხელსაწყოს მთავარი ნაწილია მაგნიტოფონი. იგი ზუსტად იწერს მიწის წიაღში ტალღების რხევას, შემდეგ ამ ჩაწერის მოსმენა მრავალჯერ შეიძლება, ისე, რომ, გეოლოგებს აფეთქების გამეორება აღარ სჭირდებათ.

## არაჩვეულებრივი ნიჟარა

იაპონიაში, წყნარი ოკეანის ნაპირებთან, იპოვეს ნიჟარა, რომელშიაც იყო 620 მარგალიტი, მათ შორის 20 — შავი მარგალიტი. ნიჟარის სიგრძე 6 სანტიმეტრია, სიგანე — 5,5 სანტიმეტრი. ნიჟარებს, რომლებშიც ასამდე მარგალიტია, ხშირად პოულობენ, მაგრამ ასეთი რაოდენობის მარგალიტებიანი ნიჟარა აქამდე არავის უნახავს.

## ბაყაყები წინასწარმეტყველებენ ამინდს

ასეთი მტკიცება თითქოს არადამაჯერებელია, მაგრამ სინამდვილეში იგი სიმართლეს შეიცავს. იმის შესახებ, თუ რა ამინდი იქნება ხვალ, შეგვიძლია გავიგოთ, თუ ყურადღებით მოვისმენთ ბაყაყების ყიყინს. საქმე იმაშია, რომ ამ წყალხმელეთას სასუნთქი ორგანოები ძალზე მგრძნობიარეა ატმოსფერული წნევის ცვლილებათა მიმართ. მაგალითად, გაავდრების წინ ბაყაყები ისე როდი ყიყინებენ, როგორც მზიანი დღის წინა საღამოს.

ერთი ჩინელი ნატურალისტის დაკვირვებით, ბაყაყური „პროგნოზი" 90—95 პროცენტით მართლდება.

## მაიმუნები უყურებენ კინოს

ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა შექმნეს სპეციალური „კინოთეატრი" მაიმუნებისათვის. „კინოთეატრი" წარმოადგენს ყუთს, რომლის უკანა კედელი კინოეკრანია, წინა კედელში კი კარია. მაიმუნს შეუძლია გააღოს ან მიხუროს კარი, იმისდამიხედვით, მოსწონს თუ არ მოსწონს, რაც ეკრანზე ხდება.

გამოკვლევებმა შემდეგი აჩვენეს: ა) მაიმუნებს კინო უფრო უყვართ, ვიდრე უმოძრაო გამოსახულებანი; ბ) მაიმუნები სხვა კინოსურათებთან შედარებით ორჯერ უფრო დიდხანს უყურებენ ისეთ კინოსურათებს, სადაც მაიმუნებია გამოყვანილი; გ) მაიმუნებს ძალზე ეჯავრებათ კინოსურათები გველების შესახებ.

## აისბერგი ბუქსირზე

სამხრეთ კალიფორნია უდაბნო და ცხელი ქვეყანაა. მისი მკვიდრნი ყოველთვის განიცდიან წყლის ნაკლებობას. და აი, მეცნიერებმა გადაწყვიტეს კალიფორნიის ნაპირებთან მიაცურონ უზარმაზარი აისბერგი — ყინულის მთა, რომელიც წყლის ზედაპირიდან სამას მეტრზე იქნება ამოშვერილი, სიგრძე ექნება 80 კილომეტრი, ხოლო სიგანე 1100 მეტრი. აისბერგს ბუქსირით წამოაცურებენ ანტარქტიდიდან ათეულ ათასობით კილომეტრ მანძილზე. იმედოვნებენ, რომ ყინულის მთა ერთი წლის განმავლობაში სასმელი წყლით უზრუნველყოფს სამხრეთ კალიფორნიის მთელ მოსახლეობას.

## სახლები წყალქვეშ

იმისათვის, რომ ზედმიწევნით შევისწავლოთ ზღვის ცხოველები, ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ვიცხოვროთ მათ გვერდით— ასე ფიქრობს ცნობილი მონაკოელი მეცნიერი ივ კუსტო. მან სამეცნიერო საზოგადოებას განსახილველად წარუდგინა წყალქვეშა სახლების პროექტი. პროექტის ავტორის



აზრით, სათანადოდ კომფორტულ სახლებში იცხოვრებენ მეცნიერები, რომლებიც მხოლოდ ზღვის გამოკვლევით იქნებიან გართულნი.

თავდაპირველად სახლები 6 მეტრის სიღრმეზე აშენდება, ხოლო შემდეგში უფრო ღრმად და ღრმად — ზღვის ზედაპირიდან 60 მეტრზე ჩაინაცვლებენ.

## ნგრევის ყვავილი

ამ იშვიათ მცენარეს ბოტანიკოსები დედოფლის ფურისულას უწოდებენ. იგი იზრდება იავაზე, პანგრანგოს მთებში, სადაც მდებარეობს ერთ-ერთი მოქმედი ვულკანი.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ფურისულას სხვა სახელი — „ნგრევის ყვავილი" შეარქვეს. დიდი ხანია შემჩნეულია ერთი საოცარი კანონზომიერება: დედოფლის ფურისულა ზუსტად ამოფრქვევის წინადღეს აღმოცენდება ხოლმე ვულკანის თავზე. როგორც კი დაინახავენ ამ ყვავილს, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი ჩქარობენ შორს გაეცალონ ვულკანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. კუნძული წყნარ ოკეანეში; 2 ქალაქი ინგლისში; 3. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 5. გამოჩენილი ჩეხი რევოლუციონერის სახელი; 6. ხილი; 8. თანამედროვე გერმანელი მწერალი; 10. სახელმწიფო აზიაში; 13. ტბა ვოლგოგრადის მახლობლად; 14. ა. ტოლსტოის ფანტასტური მოთხრობა; 17. სახელმწიფო ჩრდილოეთში; 18. მდინარე იტალიაში; 20. საწერი ნივთიერება; 21. ქვეწარმავალი; 22. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 24. ნერვული სისტემის ცენტრი; 26. მდინარე საქართველოში; 29. სასმელი; 30. ვერდის ოპერა.

**ჰორიზონტალურად:** 3. ქართული კინოკომედიის სახელწოდება; 4. თევზის სახეობა; 7. მინერალური წყალი; 9. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი; 11. პუშკინის პოემის მთავარი გმირი; 12. კინოფილმ „ჭიაკოკონას" ერთ-ერთი გმირი; 15. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. ნელი ქარი; 19. გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი; 23. ფიზიკური კულტურა; 25. ე. ვოინიჩის ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი; 27. ეროვნება; 28. რიცხვი; 29. დაბალი ტემპერატურა; 31. გარეული ცხოველი; 32. სახელმწიფო აზიაში; 33. ხილი.

**მარინე მარსაგიშვილი,**
თბილისის 55-ე საშ. სკოლის მოსწავლე

## გეოგრაფიული გამოცანა

თქვენს წინაშეა პატარ-პატარა გეოგრაფიული რუკები. თუ სწორად ამოიცნობთ აქ აღნიშნულ სახელმწიფოებისა და ქალაქების სახელწოდებებს, — მათი პირველი ასოების ამოკითხვით მიიღებთ სსრ კავშირის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებას.

**მ. კამკამიძე**




1 2 3 4 5 6 7 8 9 10

## შარადა

ჯავშანში არის ჩამჯდარი
ხილი მრგვალი და პატარა,
მთელი ზაფხული ბუჩქებში
მწვანე ნაბადი ატარა.
შარადისათვის ამ სიტყვის
ჩვენ მხოლოდ ფუძე
გვჭირდება,
მეორე არის მდინარე,
ახსნა არ გაგიჭირდება.
თუ რიგით შეკრებ ორივეს,
სულ სხვა სახელი იქნება, —
თოვლში სარბენლად
ხმარობენ,
აბა, ვინ უმალ მიხვდება?

**შ. ამირანაშვილი**

## ფანქრის ერთი მოსმით



სცადეთ, აქ მოცემული ფიგურა შემოხაზოთ ფანქრის ერთი მოსმით.

**ქეთევან ვაშაკიძე,**
თბილისის 23-ე საშ. სკოლის მოსწავლე.


ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 10722 ტირ. 34.000. ქაღ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 30/XII-62 წ.
სტამბის შეკვ. 2358. გამომც. 80 შეკვ. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible].
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76157